პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ფასი 10 კაპ.

შაბათი,
23
ნოემბერი
1935 წ.
№ 271 (4427)

სტახანოვური მოძრაობა ყოველნაირად რომ გავავრცელოთ მთელ ჩვენს ქვეყანაში, ამისათვის მარტო სტახანოველები, რა თქმა უნდა, არ კმარა, საჭიროა ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ჩაებან ამ საქმეში და დაეხმარონ სტახანოველებს ბოლომდე მიიყვანონ მოძრაობა.

ი. სტალინი

დავნერგოთ ხელფასის ახალი წესი

მეცნიერული კომუნიზმის გენიოსი ფუძემდებელი სწერდა: „კაპიტალისტური წარმოების ფორმის გაუქმება საშუალებას მოგვცემს შევზღუდოთ სამუშაო დღე აუცილებელი შრომით. მაგრამ ამ უკანასკნელის ფარგლები, დანარჩენ თანასწორ პირობებში, უნდა გაფართოვდეს. ერთის მხრივ, იმიტომ, რომ მუშის საარსებო პირობები უფრო მდიდარი შეიქნება და მისი საარსებო მოთხოვნილებები გაიზრდება. მეორეს მხრივ, ეხლანდელი ზედმეტი შრომის ნაწილი აუცილებელ შრომად ჩაითვლება, სახელდობრ ის შრომა, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი სარეზერვო და დაგროვების ფონდის შესაქმნელად".

მარქსის ეს დებულება პროლეტარიატის დიქტატურამ, საბჭოთა ეკონომიკამ სინამდვილედ აქცია. საბჭოთა კავშირში სამუშაო ძალა საქონელი აღარ არის. სოციალისტურ წარმოებებში სამუშაო დღის აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროდ დაყოფა მოხსნილია. მთელი ახლად შექმნილი საზოგადოებრივი პროდუქტი მუშათა კლასს ეკუთვნის. იგი მშრომელთა პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და სოციალისტურ დაგროვებას ხმარდება.

სოციალისტური დაგროვების ზრდასთან ერთად იზრდება სახალხო მეურნეობა. იზრდება და ყოველდღიურად უმჯობესდება მუშათა კლასის და მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობა. 1933 წელს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი საბჭოთა კავშირში 34,2 მილიარდ მანეთს შეადგენდა, ნაცვლად 1930 წლის 13,5 მილიარდისა. ამას დაუმატეთ უმუშევრობის საბოლოოდ მოსპობა, 7 საათიანი სამუშაო დღე, სოცდაზღვევა, საბინაო და საკურორტო მშენებლობა, კომუნალური მომსახურება, საწარმოო კვირის შემცირება, შვებულების ვადის განხანგრძლივება — და თქვენს წინაშე აქაც გადაიშლება პროლეტარული დიქტატურის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

მეორე ხუთწლედში სამუშაო ხელფასის ფონდი 50,7 მილიარდ მანეთამდე უნდა ავიდეს. რეალური ხელფასი კი ერთიორად უნდა გაიზარდოს. საბჭოთა კავშირში სამუშაო ხელფასის საფუძველზე ყველა გზა ხსნილია შეძლებული ცხოვრებისაკენ. აქ ყურადღების ცენტრში იყო და არის მთავარი საწარმოო ძალა — ადამიანი, ყველაზე ძვირფასი კაპიტალი ყველა კაპიტალს შორის.

სულ სხვაა კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ სამუშაო ძალა კაპიტალისტური ექსპლოატაციის საგანია. ბურჟუაზია წარმოებაში ჩაბმული მუშების მიერ შექმნილი ღირებულების სულ უფრო და უფრო მეტ ნაწილს ითვისებს. იზრდება სამუშაო დღე, მცირდება მუშათა ხელფასი, იზრდება უმუშევართა არმია. მუშათა კლასი ღატაკდება შეფარდებითაც და აბსოლუტურადაც. ფაშისტურ გერმანიაში 1929 წელთან შედარებით სამუშაო ხელფასის ფონდი 1933 წელს შემცირებული იყო 50 პროცენტით, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში — 35 პროცენტით. ხელფასის ძალზე შემცირება გრძელდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ცნობილია, რომ სოციალიზმის პერიოდში პროდუქტების მიღება დამოკიდებულია დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხზე. ვინც მეტსა ქმნის, მან მეტი უნდა მიიღოს. ამ შემთხვევაში ხელფასის ყველაზე სრულყოფილი ფორმა სანარდო სისტემაა. სამუშაოთა ხასიათის მიხედვით ის უნდა შეივსოს ხელფასის პრემიალური და პროგრესიული ფორმებით.

შრომის ანაზღაურების ეს ფორმები მიმართულია გათანაბრების წინააღმდეგ, ქმნის კვალიფიკაციის ამაღლების, ტექნიკის დაუფლების და ადამიანთა წინწაწევის სტიმულს, ხელს უწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას და სოციალისტური საკითხებისადმი, საზოგადოებრივი ქონებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას, ამ ქონების დაცვას. შრომის ანაზღაურების ეს ფორმები წარმოადგენენ წამგლეჯებისა და ზარმაცების წინააღმდეგ ბრძოლის ბასრ იარაღს.

აშკარაა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება სამუშაო ხელფასის ზრდის, მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველი და განუყრელი ნაწილია.

საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციებში საკავშირო სახკომსაბჭოს 5 ივლისის დადგენილების შესაბამისად პირველ აგვისტოდან გატარდა სამუშაო ხელფასის ახალი სისტემა და ამით ბოლო მოეღო გათანაბრების პრაქტიკას.

მთელი საცალო სავაჭრო ქსელის მუშაკები ახლა ხელფასს იღებენ საქონელბრუნვიდან პროცენტის სახით რაც გეგმების გადაჭარბებით შესრულებისას პროგრესიულად იზრდება. გამონაკლისს წარმოადგენენ კურორტმომარაგების გასტრონომიული და საბაკალეო მაღაზიები, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის უნივერმაღები, „გასტრონომის" და „ბაკალეის" მაღაზიები საკავშირო შინავაჭრობის სახ. კომისარიატის უნივერსალური მაღაზია და პურის სპეციალიზებული მაღაზიები. აქ დაწესებულია მტკიცე განაკვეთები და გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გადაჭარბებისათვის მუშაკებს ეძლევათ პრემია 5-დან 20 პროცენტამდე (მტკიცე განაკვეთზე). გეგმათა შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ხელფასი, პირიქით, მცირდება 5-დან 20 პროცენტამდე.

სავაჭრო ორგანიზაციებში, სამუშაო ხელფასის გარდაქმნის შედეგების შემოწმებამ, რაც შერჩევით ჩატარდა, გამოარკვია, რომ დახლის მუშაკებს მიეცათ მატერიალური სტიმული გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ამან გაზარდა სავაჭრო ორგანოების რენტაბელობა და გააუმჯობესა მომხმარებლის მომსახურება.

მეტნაწილ შემოწმებულ სავაჭროებში საქონელბრუნვის გეგმები გადაჭარბებით სრულდება. ხელფასის პროგრესიული და პრემიალური ფორმების გამოყენებით დახლის მუშაკთა შემოსავალი მატულობს. ცალკეულ შემთხვევებში მათი ხელფასი ერთი—ორად და ერთი—სამად გაიზარდა.

გეგმების გადაჭარბებით შესრულება საქონელბრუნვის გეგმების თანამშრომლებამდე დროულად დაყვანა—დამუშავების, შრომის სოციალისტური რაციონალიზაციის, საქონლის ასორტიმენტის გამრავალფეროვნების, თანამშრომელთა უნარიანობისა და ინიციატივის გაშლის პირდაპირი შედეგია.

სამუშაო ხელფასის გარდაქმნა — გეგმების მაღალხარისხოვანი შესრულების, რენტაბელური და კულტურული ვაჭრობის ეს უმძლავრესი ფაქტორი, ზოგიერთმა სავაჭრო ორგანიზაციამ დროულად არ გამოიყენა. მაგალითად, საკავშირო შინავაჭრობის სახკომატის უნივერმაღის (ტფილისი) დირექციამ, ხელფასი აგვისტო-სექტემბერში ნაცვლად პრემიალურისა, ძველი წესით გასცა. ტფილსოფმრეწვმა ხელი არ შეუწყო დახლის მუშაკებს შორის გეგმების დროზე დამუშავებას, არ გაათავისუფლა ზედმეტი მუშახელი და ამით ხელფასის ფონდის მნიშვნელოვანი გადახარჯვა გამოიწვია.

მსგავსი შემთხვევები, გათანაბრების წესის ეს ნაირსახეობა მომავალში აღარ უნდა განმეორდეს. სავაჭროების პარტიული პროფესიული ორგანიზაციები ხელფასის აღნიშნული ფორმების დანერგვას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრან.

მტკიცედ დავნერგოთ ხელფასის ახალი წესი, არც ერთი შემთხვევა მისი დარღვევის—ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანა.

მანდარინის დამზადება

დამზადებულია 52 006.000 ცალი მანდარინი

სახკომსაბჭოსთან არსებულ დამზადების კომიტეტის 22 ნოემბრის ცნობებით

	დამზადების გეგმა	დამზადებულია ცალობით	გეგმის შესრულება პროცენტებში
აჭარისტანის ს. ს. რ.	120.000.000	41.520.000	34,6
აფხაზეთის ს. ს. რ.	11.000.000	5.190.000	47,2
მახარაძის რაიონი	15.000.000	4.200.000	28,0
ლანჩხუთის რ.	3.000.000	361.000	12,0
ჩოხატაურის რ.	400.000	—	—
ფოთის რ.	1.000.000	298.000	29,8
ზუგდიდის რ.	600.000	237.000	39,5
ცხაკაიას რ.	350.000	200.000	57,1
ს უ ლ	**150.000.000**	**52.006.000**	**34,7**

შენიშვნა: ლანჩხუთის, ფოთისა და ცხაკაიას რაიონების მაჩვენებლები 21 ნოემბრისაა.

სიმაღლეზე აფრენის მსოფლიო რეკორდი

მოსკოვი, 21 ნოემბერი. 21 ნოემბერს მფრინავმა კოკინაკიმ კიდევ მოახდინა მაღლა აფრენა ინჟინერ პოლიკარპოვის კონსტრუქციის ერთადგილიანი ღია მანქანით. მთელი ფრენა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. თვითმფრინავმა 14575 მეტრ სიმაღლეს მიაღწია.

ამგვარად კოკინაკიმ გადააჭარბა შარშან იტალიელი მფრინავის დონატის მიერ დამყარებულს მაღლა ფრენის მსოფლიო რეკორდს—14430 მეტრს.

აღსანიშნავია, რომ კოკინაკის გაფრენა მოხდა არა სარეკორდო, არამედ სერიული მანქანით (ადს).

წერაქვით ნახშირის მოპოვების რეკორდი

მოსკოვი, 21 ნოემბერი. 20 ნოემბერს შჩეკინში (მოსკოვის ბასეინი) № 6 შახტში ჩავიდა ყოფილი მაღაროელი კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. ჟურავლიოვი. 6 საათის განმავლობაში წერაქვით მუშაობით მან დაამყარა მოპოვების რეკორდი—86,5 ტონა. მევაგონეებად მასთან მუშაობდნენ კომკავშირის რაიკომის ბიუროს 3 წევრი და შახტის კომკავშირის კუჯრედის მდივანი, (ადს).

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტში

ამხ. სტალინის სიტყვის შესწავლის და სტახანოველთა საკავშირო თათბირის შედეგებისა და მნიშვნელობის ახსნა-განმარტების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა განიხილა ამხანაგ სტალინის სიტყვის შესწავლის ორგანიზაციისა და მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასებში სტახანოველთა საკავშირო თათბირის შედეგებისა და მნიშვნელობის განმარტების საკითხი და ა.-კ. სფს რესპუბლიკაში სტახანოვური მოძრაობის განვითარების საკითხი.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიისა და კომკავშირის რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებს, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ გააცნონ ყველა კომუნისტს, კომკავშირელს, უპარტიო მუშას, კოლმეურნეს და ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელს ამხანაგ **სტალინის** სიტყვა, მოაწყონ მისი შესწავლა და ფართოდ განმარტონ მასებში სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირის შედეგები და მნიშვნელობა.

განიხილონ ამხანაგ **სტალინის** სიტყვა პარტიულ და კომკავშირულ კრებებზე.

ჩაატარონ საწარმოებში მუშათა საერთო კრებები და კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა საერთო კრებები მოხსენებებით სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირის შესახებ.

დაამუშაონ და შეისწავლონ პარტგანათლების, კომკავშირის პოლიტგანათლების და პროფპოლიტსწავლების მთელს ქსელში ამხანაგ **სტალინის** სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მთავრობის წევრთა გამოსვლები სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე.

მოაწყონ საამქროებში, შახტებში, ბრიგადებში და სხვ. სტახანოველთა საკავშირო თათბირზე ამხანაგ **სტალინის** სიტყვის, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა გამოსვლების, სტახანოვის, კრივონოსის, ბუსიგინის, ვინოგრადოვას, სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა სიტყვების ჯგუფური კითხვა.

მოაწყონ სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა საქალაქო და რაიონული შეკრებები, რომლებზედაც გააკეთონ მოხსენებანი სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირის შესახებ.

ამხანაგ **სტალინის** სიტყვა და პოლიტბიუროს წევრთა გამოსვლები საკავშირო თათბირზე გამოცემულ უნდა იქნას რესპუბლიკათა პარტგამომცემლობებისა და სახელმწიფო გამომცემლობების მიერ ნაციონალურ ენებზე მასობრივი ტირაჟით.

პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა თავიანთი ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციონ სტახანოვური მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საკითხები.

თავის გადაწყვეტილებებში საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, რომ სტახანოველთა მოძრაობას, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, მის ახალ უმაღლეს ეტაპს, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მოწინავე ადამიანთა მოძრაობას, რომლებიც შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს იძლევიან,—გამოეხმაურნენ ა.-კ. სფს რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის საუკეთესო დამკვრელები.

სტახანოვის, კრივონოსის, ბუსიგინის, ვინოგრადოვას მუშაობის ბოლშევიკური მეთოდებს წარმატებით ითვისებენ ამიერ-კავკასიის ნავთის, ლითონის დამამუშავებელი, სამთამადნო, საფეიქრო, ქიმიური და ფეხსაცმელის მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის, ჩაის, ციტრუსების და თამბაქოს პლანტაციების, ბამბის მინდვრების და მეცხოველეობის საუკეთესო დამკვრელები. ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშაკებმა თავიანთი წრიდან წამოაყენეს სტახანოვის საუკეთესო მიმდევრები: **პარფენოვი**—ლენინის სახელობის სარეწაოს ოსტატი, რომელმაც დაზგა-თვეზე მოგვცა 534 მეტრი, **ისმაილ მიქაილი**, რომელმაც გადააჭარბა პარფენოვის რეკორდს და მიაღწია ბურღვის სისწრაფეს 723 მეტრამდე დაზგა—თვეზე, ოსტატები ახად მახუბა, რომელმაც მოგვცა 1124 მეტრი, მანგასაროვი და სხვები. გადაიღეს რა ტრანსპორტზე საუკეთესო სტახანოველის კრივონოსის მუშაობის მეთოდები, ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშაკებმა ამხ. **ხალარ ზებუთოვმა, ვახილ პაპშევმა, ფიაზმიტინოვმა, ხიზანიშვილმა** და **დავით ჭიჭინაძემ** მოგვცეს ტრანსპორტზე ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშები. **მარიამ ისკანდეროვა, ბახტია ბაგიროვა** (აზერბეიჯანი) და **მარიკა ფუნდუკიძე** (საქართველო) არიან ბამბისა და ჩაის მოწინავე სტახანოველები.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა პარტიულ, კომკავშირულ, სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციებს უზრუნველჰყონ ყოველდღიური ხელმძღვანელობის და კონკრეტული დახმარების გაწევა სტახანოველებისათვის—ჩვენი ქვეყნის ამ შესანიშნავი ადამიანებისათვის.

სტახანოვური მოძრაობის საბოტაჟის არსებული შემთხვევები (ლენინის ფაბრიკაში ტექნიკური ხელმძღვანელი **ხანგინი**—ფაბრიკაში ტექნიკური დეფექტების მიზეზით მიღებულ წუნს მიაწერდა სტახანოვური მოძრაობის გაშლას. ბაქოს ვანო სტურუას სახელობის ქარხანაში ინჟინერ - ნორმადარი, ხოლო ტფილისის ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში სამჭედლო საამქროს ტექნიკური ბიუროს უფროსი **მეცლერი** ცდილობდნენ ნორმების გადასინჯვის, შეფასებათა შემცირების და სხვ. გზით, შეეფერხებიათ სტახანოვური მოძრაობის განვითარება) შეუბრალებლად უნდა იქნას გამომჟღავნებული.

პარტიულმა, სამეურნეო და პროფესიულმა ორგანიზაციებმა დაუყოვნებლივ უნდა გაშალონ მოსამზადებელი სამუშაოები, რათა გადასინჯულ და შეცვლილ იქნას ტექნიკურად ჩამორჩენილი ნორმები, რომლებიც ჩვენს მრეწველობას აფერხებენ, ახალი, უფრო მაღალი ტექნიკური ნორმებით.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა გაზეთების ყველა რედაქტორს უფრო ფართოდ გააშუქონ პრესაში სტახანოვური მოძრაობის განვითარება ა.-კ. რესპუბლიკის საწარმოებში და მრეწველობის, ტრანსპორტის, ბამბის, ციტრუსების და ჩაის საუკეთესო სტახანოველთა მუშაობის გამოცდილების და ნიმუშების ჩვენებასთან ერთად დაუნდობლად გამოამჟღავნონ ამ მოძრაობისათვის საბოტაჟის გაწევანი (ადს).

ტფილისის პროლეტარიატი ღირსეულად შეასრულებს ბელადის მითითებებს

გუშინ ტფილისის წარმოებებში

26 კომუნარის სახ. ქარხანა

ხალხის დიდი ბელადის ამხ. **სტალინის** სიტყვის დასამუშავებლად გუშინ თავი მოიყარა 26 კომუნარის სახელობის ქარხნის მუშათა მთელმა კოლექტივმა.

დარბაზი ვერ იტევს მოზღვავებულ ხალხს. ბევრმა ბელადის სიტყვის წაკითხვა მოასწრო დილის შესვენებისას, დანარჩენები მომხსენებლისგან მოელიან განმარტებას.

მომხსენებელიც, ლენრაიკომის მეორე მდივანი ამხ. **ვ. მაჭავარიანი** დაწვრილებით აცნობს დამსწრეთ ამხ. სტალინის სიტყვის შინაარსს და მოუწოდებს სათანადო დასკვნები გააკეთონ იქიდან.

აზრთა გაცვლა - გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ქარხნის საუკეთესო სტახანოველებმა **მირდა აკოპიანმა, კოპლაძემ, შაქილაძემ,** მეშიბმა **იარალოვმა, გვენცაძემ, მამაჯანოვმა, არამიანცმა, ჭოხონელიძემ, ტარასენკომ,** ინჟინერ - ტექნიკოსებმა **გრიგორიევმა, კირკინოვმა, კობახიძემ** და ქარხნის დირექტორმა **სიტნიკოვმა.**

ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ბელადის სიტყვის საპასუხოდ ქარხანამ უნდა გაამრავლოს მუშაობა და წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულებით შეხვდეს მეორე ხუთწლედის მეოთხე წელს. სტახანოველებმა იკისრეს ვალდებულება ორი თვის გეგმები ერთ თვეში შეასრულონ.

მიღებულ რეზოლუციაში კრება კისრულობს 1936 წელს შრომის ნაყოფიერება შრომისტევად პროდუქციის მიმართ საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული 15 პრ. გარდა დამატებით გაადიდოს კიდევ 10 პროცენტით.

მუშებმა აიღეს ვალდებულება გამოუშვან 1936 წლის თებერვალში თურქეთის მეორე საფეიქრო კომბინატისათვის სამი ძაფსახვევი მანქანა, აითვისონ სახვევი მანქანა „ატვუდი", საბაბინაო „შერერი" და შეუდგნენ მათ სერიულ გამოშვებას.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა

ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ ქარხანაში სამუშაოს დამთავრებისას დანიშნული იყო ქარხნის მუშათა სახელდახელო მიტინგი. მიტინგისათვის ემზადებოდნენ ქარხანაში მომუშავე სტახანოველები. არამარტო სტახანოველები, ემზადებოდა ყოველი მუშა, ყოველი ინჟინერ ტექნიკოსი. ცოტა ხანში ქარხანა სტახანოვური უნდა გახდეს. ასეთია ქარხნის მთელი კოლექტივის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების გადაწყვეტილება.

საქარხნო კლუბის ვეებერთელა დარბაზში, შაბაშისთანავე თავი მოიყარეს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. დარბაზი ხალხით იყო სავსე, როცა მოვიდნენ ქარხნის სამკუთხედის წარმომადგენლები. 26 კომუნარის სახელობის პარტრაიკომის მდივანი ამხ. **გრ. კარანაძემ** სახელდახელო მიტინგზე გააკეთა მოხსენება ამხ. **სტალინის** სიტყვის შესახებ.

მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ქარხნის სახელოვანმა სტახანოველებმა—ამხ. **აივაზოვმა, ბედიაშვილმა, შინგაზრდილაშვილმა, მინასიანმა, გოგოლაშვილმა, მენაბდიშვილმა, ბაღდასაროვმა, ახატუროვმა, გიორგაძემ, უსოვმა,** ქარხნის დირექტორი—ყანდარელმა ერთერთმა პირველმა სტახანოველმა—ამხ. **შკინინმა.**

— ქვეყანა ჩვენი ქარხნისაგან მოითხოვს,—აცხადებდნენ მიტინგზე გამოსულნი,—ჩაის მეურნეობაში საჭირო მანქანებს—„მაჟიჩებს", „სიროკოს". საკუპაჟო მანქანებს, მევენახეობა-მეღვინეობაში ქვეყანას სჭირდება დიდძალი „მაიფერტები", „მობილები", „ეგუტფორმები".... ჩვენ პირობას ვაძლევთ პარტიას და ხელისუფლებას, რომ გადაჭარბებით შევასრულებთ ყველა ამ მანქანის გამოშვების გეგმას.

○

ტფილისის მაუდის ფაბრიკა

მუშაობის დამთავრების შემდეგ ექვსასმა კაცმა დაიკავა კლუბში ადგილი.

პარტკომის მდივანმა ამხ. **ს. აბრიაშვილმა** მოხსენებისათვის სიტყვა მისცა **მირზაბეკიანს.**

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველები.

— მე ტექწრე „ფრიადზე! დავამთავრე — აცხადებს ძაფისმრთველი **მიკოევი**—წინათ ერთ დაზგაზე ვმუშაობდი და თვეში ვღებულობდი 150 მანეთს, მაგრამ... აი წავიკითხე „პრავდაში" ალექსი სტახანოვის გმირულ მუშაობის შესახებ. დამაფიქრა ამ ამბავმა. ჩავუკვირდი ჩემს მუშაობას. სართავი მანქანა ხუთი თითივით ვიცი და გადავწყვიტე მომუშავენა მეორე დაზგაზედაც. ახლა ორ დაზგაზე ვმუშაობ და ერთავ 500 თითისტარზე. ხელფასს კი ვღებულობ 255 მანეთს. წუნი არა მაქვს. ორი დაზგის გეგმას გადაჭარბებით ვასრულებ.

აი, **ალექსი მურადოვი.** ალექსი მაუდის ფაბრიკაში პირველი სტახანოველია. მისმა გამოსვლამ ტრიბუნაზე დიდი აღტაცება გამოიწვია.

— მე ერთ კვირაში შევისწავლე ქსოვა. ჩამაბარეს ერთი დაზგა. გავიდა დრო. დავეუფლე ქსოვის ტექნიკას, ავითვისე მანქანა და მეორე დაზგაც მივიმატე. ახლა სამ დაზგაზე ვმუშაობ და ჩემი ხელფასი გაიზარდა ერთიორად.

მიტინგზე გამოვიდნენ სტახანოველები **ულენტი, შეყრილაძე, კრეჩიტოვა, ხვანიშვილი** და სხვ.

აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა

ფაბრიკის კლუბი მუშებით არის გაჭედილი. კრება მხიარულად და ხალისიანად გამოიყურება. ყველას მოუთმენლობა და ღელვა ემჩნევა. ყველას სურს მალე გაიგონოს პროლეტარიატის ბრძენი მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სიტყვა სტახანოველთა თათბირზე.

კრება გაიხსნა...

იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **ა. რამიშვილი** დამსწრეთ დაწვრილებით აცნობს ამხ. სტალინის ისტორიულ სიტყვას.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში გამოვიდნენ: **გრ. ქუონია, ხ. კუშჩიევი, ვალ. მეხრაძე, ნატა კანდელაკი, ს. იარალოვი, ქეთო ჭუმბურიძე, შ. შოთაშვილი, გრ. მამუჩაიშვილი, რაისა საველიევა, ს. ამაშუკელი,** და **გ. ღოლოაძე.** ყველანი პირობას იძლევიან, რომ იმუშავებენ სტახანოვურად.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მუშები სტახანოვურ ვალდებულებებს კისრულობენ და პირობას აძლევენ პარტიასა და ხელისუფლებას: მიმდინარე წლის გეგმა შეასრულონ 23 დეკემბრამდე; წლის ბოლოსთვის ქვეყანას მისცენ 30.000 მეტრი უხეში ქსოვილი და 375.000 მეტრი მზა პროდუქცია; მომავალ წელს გამოუშვან გეგმით გათვალისწინებული 2½ მილ. მეტრის ნაცვლად 3½ მილიონი მეტრი მზა პროდუქცია.

○

„კომუნისტის" სტამბა

ხუთი საათი რომ შესრულდა, პარტკომის მდივანმა ამხ. **წერეთელმა** კრება გახსნილად გამოაცხადა. მოხსენებისათვის სიტყვა ამხ. **გრ. მუშიშვილს** მისცა. ყველა სმენად გადაიქცა—ისმენდნენ, დიდი ბელადის, საყვარელი სტალინის გენიოსური სიტყვის შინაარს მოისმენდნენ.

მომხსენებელმა ფართოდ გააშუქა ამხ. სტალინის ისტორიული სიტყვის შინაარსი.

შემდეგ გამოვიდნენ სტახანოველები. ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილეს ის დაბრკოლებანი, რომელიც მათ ჯერ კიდევ ხელს უშლის.

აი, პირველი სტახანოველი ჩამომსხმელი ამხ. **პარფენოვი.** სცენაზე დაყრდნობილი მკაფიოდ ლაპარაკობს იმ მიღწევებზე, რომელიც მან მოიპოვა სტახანოვური მეთოდით მუშაობის შემდეგ.

პირველად ერთ მანქანაზე ვმუშაობდი, ახლა კი ორი მანქანა მაბარია, გეგმას 150 პროც. ვასრულებ. ეს კიდევ არ მაკმაყოფილებს, თუ ხელს შემიწყობენ, გეგმას უფრო გადაჭარბებით შევასრულებ.

ასოთამწყობმა ამხ. **მ. ნაცვლიშვილმა** ამხილა ის ნაკლი, რომელიც მუშაობაში ხელს უშლის.

ნაცვლიშვილს არ ჩამორჩება **ხსირტლაძე.** ისიც ამაყად მოუთხრობს მრავალრიცხოვან კრებას თავის მიღწევებზე. ის ახლა ორ მანქანაზე მუშაობს, გეგმას 240 პროც. ასრულებს. ილაპარაკეს აგრეთვე **კაპანაძემ, მხატვარმა, აბაიშვილმა, ნადარეიშვილმა, ნაზარეტიანმა, ელიაძემ, კაიტანჯიანმა, წერეთელმა.**

დასასრულს, კრებამ მიიღო რეზოლუცია სტახანოვური მეთოდის ფართოდ დანერგვის შესახებ.

ჩაის სტახანოველი

პროკოფი გონიაძე
(წერილი იხილეთ მე-3 გვერდზე).

□ □ □

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ში

კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების მსვლელობის შესახებ

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შეამოწმა ბორჩალოს, სიღნაღის, ხაშურის, თელავის და ბაღდადის რაიონების კოლმეურნეობებში შემოსავლის განაწილების მსვლელობა. შემოწმებამ გამოარკვია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შემდეგი დარღვევანი.

ზოგან ნატურალური პროდუქცია უკვე განაწილებულია, ამავე დროს კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ მთლიანად არ გადაუხდიათ მანქანა-ტრაქტორების სადგურისათვის ნატურანაზღაურება შესრულებულ მუშაობისათვის (კოლმეურნეობა „ხირსის გლეხთა შრომა", სოფ. ტიბაანი, სიღნაღის რაიონი).

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ტრაქტორისტებისათვის შრომა დღეების მიხედვით კუთვნილი ხორბლის მიცემა (წნორის და ულიანოვკის მტს-ის სამოქმედო რაიონი).

სოფ. კრმზი-კენდის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 10 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობაში (ბორჩალოს რაიონი) სადაზღვეო სათესლე ფონდი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული 10-15 პროცენტის ნაცვლად გამოყოფილია 6 პროც. რაოდენობით.

სოფ. წითელ-ხევის (ბაღდადის რაიონი) ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ზედმეტი სადაზღვეო სათესლე ფონდი არ გაუნაწილებიათ შრომადღეების მიხედვით.

სოფ. ბოდბის-ხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში (სიღნაღის რაიონი) კონტრაქტაციის და თამბაქოს ჩაბარების შედეგად მიღებულია 40.854 მანეთი, შრომადღეებზე კი გაცემულია მხოლოდ 19.718 მანეთი ანუ 45 პროც. წინააღმდეგ 60 პროცენტისა, რასაც სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება ითვალისწინებს

სოფ. ცხრამუხას კოლმეურნეობა „განთიადში" (ხაშურის რაიონი) შაქრის ჭარხლის ჩაბარების შედეგად მიღებულ 12,200 მანეთიდან შრომადღეებზე გაცემულია მხოლოდ 5.713 მანეთი, ანუ 47 პროც.

სოფ. წითელი-ხევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (ბაღდადის რაიონი) ყურძნის ჩაბარების შედეგად მიღებულ 19,087 მანეთიდან შრომადღეებზე გაცემულია მხოლოდ 7.053 მან., ანუ 37 პროც.

სოფ. სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში (თელავის რაიონი) შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევ 13.439 მანეთის ნაცვლად განუყოფელ ფონდში უკვე გადარიცხულია 16.886 მან. და ამას გარდა ბანკს უნდა გადაუხადონ გრძელვადიანი კრედიტი 2.600 მან. რაოდენობით.

სოფ. მაღაროს კოლმეურნეობა „შრომაში" (ულიანოვკის მტს-ის სამოქმედო რაიონი) უხეშად დარღვეულია შრომადღეების მიხედვით შემოსავლის განაწილების პრინციპი.

სარევიზიო კომისიების მუშაობა ყველგან არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მიუთითა რა ბორჩალოს, სიღნაღის, ხაშურის, თელავის და ბაღდადის პარტრაიკომებს და რაიაღმასკომებს ამ დამახინჯებებზე შემოსავლის განაწილების საქმეში, საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის რაიკომების მდივნებს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, რაიმიწგანის გამგეებს და მტს-ების დირექტორებს 1 დეკემბრამდე ჩაატარონ ყველა კოლმეურნეობაში დაწვრილებითი შემოწმება იმისა, თუ რამდენად სწორად დაურიცხეს კოლმეურნეებს შრომადღეები, რისთვისაც უნდა გამოიძახონ თვითეული კოლმეურნე და ტაბელებთან შეადარონ მისი შრომის წიგნაკი.

ორი კვირით ადრე კოლმეურნეთა იმ კრებამდე, რომელზედაც უნდა დამტკიცდეს შემოსავლის განაწილების გეგმა, უნდა გამოაკრან შრომადღეების რიცხვის ნუსხა არტელის თვითეული წევრის მიერ გამომუშავებულ შრომადღეების აღნიშვნით.

შრომადღეების წლიური რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული იქნას აგრეთვე იმ შრომადღეების რაოდენობა, რომელიც უნდა დაერიცხოს მემინდვრეობის და მეცხოველეობის ბრიგადებს კარგი მუშაობისათვის (ბრიგადის წევრებს 10 პროცენტამდე, ბრიგადის საუკეთესო დამკვრელებს 15 პროც. და ბრიგადირებს — 20 პროც. მათ მიერ გამომუშავებულ შრომადღეებისა) და შრომადღეების რაოდენობა, რომელიც გამორიცხული უნდა იქნას (10 პროცენტამდე) ბრიგადის წევრების ცუდი მუშაობისათვის.

უნდა ჩატარდეს (სარევიზიო კომისიების აუცილებელი მონაწილეობით) ყველგან ნატურალური შემოსავლის სრული აღრიცხვა, ეს მუშაობა უნდა შესრულდეს ზუსტად და დაწვრილებით და არ უნდა მოხდეს რაიმე ისეთი ფონდების შექმნა, რაც წესდებით არ არის გათვალისწინებული.

დაწვრილებით უნდა შემოწმდეს თვითეული ცალკე კოლმეურნეობის ვალდებულებათა შესრულება სახელმწიფოს წინაშე (სახელმწიფო დამზადება, პროდუქციის ჩაბარება საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით, მტს-ების ნატურანაზღაურება, სესხის დაბრუნება), სათესლე, საფურაჟე და სადაზღვეო ფონდების გეგმის შესრულება, სახელმწიფოსათვის მისაყიდ ან ბაზარზე გასაყიდ პროდუქტების გამოყოფა და სას.-სამ. არტელის წესდების მე-11 მუხლით გათვალისწინებულ ფონდების შექმნის სისწორე.

1 დეკემბრამდე ყველა კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიების მიერ უნდა შემოწმდეს და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე დამტკიცდეს მესამე კვარტალის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის შესრულების შედეგები და დაზუსტდეს ფულადი შემოსავალი და გასავალი მე-4 კვარტალისათვის. 3 კვარტალის შემოსავალ გასავლის ხარჯთაღრიცხვათა შედეგების და მე-4 კვარტალის ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების საფუძველზე მიეცეს კოლმეურნეებს არა უგვიანეს 25 ნოემბრისა იმ ფულადი შემოსავლის არა ნაკლებ 50 პროც., რაც მათ შრომადღეების მიხედვით ერგებათ.

○

პარტიის სიღნაღის და ხაშურის რაიკომებს დაევალათ სპეციალურად განიხილონ რაიკომში და მიიღონ სათანადო ზომები სას.-სამ. არტელის წესდების დამახინჯებათა გამოსასწორებლად „შრომისა" და ქვედააძენის კოლმეურნეობებში.

პარტიის ბაღდადის რაიკომს წინადადება მიეცა მოსპოს კაპიტალური მშენებლობისათვის კოლმეურნეთა თანხების მიზიდვის პრაქტიკა.

პარტიის რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეებს წინადადება მიეცათ, სანამ შემოსავლის განაწილების გეგმა წარდგენილი იქნება კოლმეურნეთა საერთო კრებაზე, პირადად გაეცნონ ადგილობრივ ამ გეგმებს და უზრუნველჰყონ სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-11, მე-12, მე-15, მე-16 მუხლების ზუსტად გატარება ცხოვრებაში.

□ □ □

რედაქციისაგან

ამხანაგ **სტალინის** სიტყვაში, რომელიც „კომუნისტის" გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა, პირველ სვეტის მესამე აბზაცის მე-17 სტრიქონში სიტყვა „ტექნიკას" შემდეგ გამორჩენილია წინადადება: „სოციალისტური შეჯიბრების ახლანდელი ეტაპი კი — სტახანოვური მოძრაობა. პირიქით, — აუცილებლად დაკავშირებულია ახალ ტექნიკასთან".

საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემები

პარიზი, 20 ნოემბერი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს მდგომმა ჟურნალმა „ეროპ ნუველმა" მოათავსა ბროსოლეტის დიდი სტატია, რომელიც ეხება საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემებს. სტატიის ავტორი არკვევს ინგლის-იტალიის ურთიერთობას და აღნიშნავს, რომ ამაოა მოველოდეთ ინგლისის პოზიციის არსებითად შერბილებას, ისე როგორც უაზროა იმედი ვიქონიოთ, რომ იტალია თავის მოთხოვნებს შეამცირებს აგრეთვე.—სწერს ბროსოლეტი, —არასოდეს არ ყოფილა ისე პრობლემატური, როგორც დღეს ის, რომ წარმატებით დამთავრდება მოლაპარაკება „ერთა ლიგის ფარგლებში" რაიმე გადაწყვეტილების მისაღწევად. სანქციების ზეგავლენის მოლოდინში,—სწერს ავტორი,—საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ინგლისისათვის ამჟამად ძირითადი საკითხია ხმელთაშუა ზღვა. იტალიის ექსპანსიის გეგმებთან, აფრიკაში მის სამხედრო მოქმედებასთან დაკავშირებით, — სწერს ბროსოლეტი,—ინგლისი გრძნობს იმ საფრთხეს, რომელიც ემუქრება მის ბატონობას აფრიკაში, მის პოზიციებს ეგვიპტეში და მის ჰეგემონიას ხმელთაშუა ზღვაზე. მუსოლინისა და დრუმონდის მოლაპარაკებას, რომელიც ეხებოდა ხმელთაშუა ზღვაზე შექმნილ მდგომარეობას, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.—აცხადებს ბროსოლეტი. ინგლის-იტალიის მეტოქეობა ხმელთაშუა ზღვაზე არ შეიძლება დღეს მოისპოს რაიმე შეთანხმებით: იგი გამოიწვევს ხანგრძლივ ბრძოლას ყოველ შემთხვევაში.—აცხადებს ბროსოლეტი. —ინგლისმა რომ მთელი თავისი ყურადღება მარტო ხმელთაშუა ზღვის პრობლემას მიაქციოს, იგი უნდა გრძნობდეს უშიშროებას, როგორც დედამიწის დანარჩენ პუნქტებში, ისე, განსაკუთრებით, რეინზე. ამ უშიშროებას, — აღნიშნავს ავტორი,— უზრუნველყოფს მხოლოდ მისი შეიარაღების ძალა. აი რატომ არის, რომ ინგლისის კონსერვატორთა წრეებში ვამჩნევთ ტენდენციას განაახლონ მოლაპარაკება გერმანიასთან, რათა მიაღწიონ უკანასკნელისაგან ახალ გარანტიას რეინზე მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. ბროსოლეტი აღნიშნავს — ბრიტანეთის წრეების ეს განზრახვა თავს იჩენს ინგლისის ცდებში, რომ გერმანია ერთა ლიგაში დააბრუნონ. ავტორი შემდეგ აცხადებს: ინგლისელები, შეიარაღების გაძლიერების იმედით, ოცნებობენ იმაზე, რომ უზრუნველყონ მშვიდობიანობა დასავლეთში გერმანიის მხრივ შესაძლო მუქარის წინააღმდეგ და ამით ცდილობენ უზრუნველყონ თავისთვის მოქმედების თავისუფლება დედამიწის დანარჩენ ნაწილებში.

ამასთან დაკავშირებით საფიქრებელია,—აღნიშნავს ავტორი, რომ ინგლისი „აამოქმედებს ამ პოლიტიკას", რისთვისაც დაიჩქარებს საფრანგეთს, რომ ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებას მეორე მხრივ, განაახლებს მოლაპარაკებას საჰაერო პაქტზე და იქნებ, გააფართოოს მოლაპარაკება სახმელეთო შეიარაღებაზეც". ლონდონში გერმანიის სასარგებლოდ დასახულ ევოლუციასთან ერთად,—აცხადებს შემდეგ ბროსოლეტი,—გერმანია ხელს უწყობს საფრანგეთს და წინადადებას აძლევს მას მოახდინოს არჩევანი ბერლინთან შეთანხმებასა და მოსკოვთან დადებულ ხელშეკრულებას შორის. ამით გერმანია იმედოვნებს მიაღწიოს იმ თავისუფლებას აღმოსავლეთში, რომელიც მისი დიდი ხნის ოცნებას შეადგენს. ბროსოლეტი აცხადებს: „საფიქრებელია, რომ ლავალი თავის მხრივ მტრულად არ შეხვდეს ბერლინთან მოლაპარაკებას. „მაგრამ ნუ დავფარავთ,—აცხადებს ბროსოლეტი, რომ ამ ცდებს თან ახლავს დიდი რისკი. გადასწყვიტო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა რეინზე გერმანიასა და ინგლისთან მჭიდრო კავშირის გზით, ამავე დროს შეარყიო აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებანი და მეგობრული ურთიერთობა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ამოცანები მხოლოდ ჩვენი საზღვრების დაცვით შემოვფარგლოთ. ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ გერმანია მიგვაჩნია ისეთ სახელმწიფოდ, რომელსაც შეუძლია შეასრულოს თავისი დაპირება და არ შემოგვიტიოს რეინიდან. ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ მოულოდნელობის შემთხვევაში საკმარისად მივიჩნიოთ ჩვენი ძალები და ინგლისის ძალები საფრთხის თავიდან ასაცილებლად". ამასთან ერთად,—განაგრძობს ავტორი—„უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საფრანგეთის პოლიტიკის აქსიომას წარმოადგენდა ის დებულება, რომ გერმანიის ძლიერების ზრდა ნიშნავს იმ საფრთხის გაძლიერებას, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გამოიყენონ საფრანგეთის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ საფრანგეთის პოლიტიკა ეტანებოდა აღმოსავლეთთან მეგობრულ ურთიერთობას და პაქტების დადებას, რომელთა მიზანიცაა შეეფერხებინა გერმანიის ექსპანსია აღმოსავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით". (ადს).

□ □ □

საომარი ოპერაციები აბისინიაში

ლონდონი, 21 ნოემბერი. ექსჩეინჯ ტელეგრაფის სააგენტო აღნიშნავს: იტალიის სარდლობა ადასტურებს ცნობებს, რომ აბისინელები ღამით თავს დაესხნენ იტალიის ჯარებს, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ ჩაუკანის რაიონში (ადუის სამხრეთ აღმოსავლეთით).

ბრძოლა გრძელდებოდა გათენებამდე, რის შემდეგ აბისინელებმა სრული წესრიგით უკან დაიხიეს. იტალიური ცნობების თანახმად ორივე მხარის დიდი ზარალი მოუვიდა. „ტაიმსის" კორესპონდენტი ასმარიდან (ერიტრეა) იუწყება აბისინიის ჯარებსა და იტალიის 20 ყუმბარმტყორცნის შორის მომხდარი ბრძოლის დაწვრილებით ცნობებს. კორესპონდენტის სიტყვით, ბრძოლის დროს მოკლული იქნა ერთი იტალიელი მფრინავი. იტალიის თითქმის ყველა თვითმფრინავი, — სწერს კორესპონდენტი აბისინიის ტყვიებმა 10—40 ადგილას დაზიანეს.

„დეილი ტელეგრაფის" გადმოცემით, გენერალი ბიელუ აბისინელთა რაზმით წარმატებით აჩერებს იტალიელთა ჯარების შემოტევას, რომელიც ადუის მხრიდან მოიწევს.

მოულოდნელ წვიმებთან დაკავშირებით, სწერს გაზეთი, ოგადენში გაჩნდა ციებ-ცხელების საშინელი ეპიდემია, რომლითაც მრავალი იტალიელი ჯარისკაცი დაავადდა. (ადს).

□ □ □

საყოველთაო გაფიცვა კაიროში

ლონდონი, 21 ნოემბერი. [illegible] ქაიროსა და ეგვიპტის სხვა ქალაქებში მიმდინარეობს საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ეგვიპტის ნაციონალისტებმა გამოაცხადეს.

ქაიროში პოლიცია ცდილობდა ძალით გაეფანტა დემონსტრაციები. რამდენიმე დემონსტრანტი დაიჭრა. პოლიციამ დააპატიმრა მრავალი სტუდენტი, რომლებიც მაღაზიების გაღებას ხელს უშლიდნენ. ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ხდებოდა შეტაკება დემონსტრანტებთან. დაიჭრა რამდენიმე პოლიციელი.

□ □ □

ეივეს ახალი გამარჯვება

ამსტერდამი, 20 ნოემბერი (ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). მე-21 პარტია, რომელიც გუშინ ქალაქ ერმელოში გათამაშდა, თავდაპირველად ვითარდებოდა ისე, როგორც წინანდელი პარტია. განსხვავება დაისახა მხოლოდ შავების მე-13 სვლაზე. შავებით ეივე თამაშობდა. ეივე მთელ პარტიას ოსტატურად თამაშობდა და იმ მომენტისათვის, როცა პარტია 40 სვლის შემდეგ გადაიდო, მან უზრუნველყო უტყუარი გამარჯვება—მატჩში თავისი პირველი გამარჯვება შავებით დღის, თამაშის განუახლებლად, ალიოხინმა პარტია დათმო. მატჩის ანგარიში ახლა გათანასწორდა: თვითეულს აქვს 7 ყაიმი და 7 მოგება, ე. ი. 10,5—10,5.

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტში

I. საშემოდგომო თესვის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მსვლელობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა განიხილა საშემოდგომო თესვის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მსვლელობის საკითხი. სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, რომ საშემოდგომო თესვის გეგმები ა.-კ. ფედერაციის რესპუბლიკებში დაწესებულ ვადებში არ შესრულებულა. განსაკუთრებული ჩამორჩენაა აზერბეიჯანში (10 ნოემბრისათვის აზერბეიჯანმა თესვის გეგმა შეასრულა 71,5 პროცენტით, სომხეთმა — 92,8 პროც., საქართველომ — 96,8 პროც.). მთელ რიგ რაიონებში საშემოდგომო თესვის დროს დაარღვიეს აგროწესები (ხვნისა და თესვის ცუდი ხარისხი, სათესლე მასალის არადამაკმაყოფილებლად გაწმენდა და შეწამვლა). თესვის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან შემდეგი რაიონები: ასტრახან-ბაზრისა—25,0 პრ., საბირაბადისა— 6,1 პროც., ქურდამირისა—24,7 პროც., ალჯაბადისა—25,4 პროც. ბილასუვარისა — 37,5 პრ. კაფანისა—69,6 პროც., ოქტემბრიანის — 43,7 პროც., ბორჩალოსი — 70,1 პროც., თიანეთისა — 83,0 პროცენტი. მწკრივად თესვის გეგმები შესრულებული არ არის.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებსა და სახკომსაბჭოებს განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიონ ჩამორჩენილ რაიონებს და უახლოეს დღეებში მიაღწიონ თესვის დამთავრებას, ამასთან უაღრესი ყურადღება მიაქციონ მწკრივად თესვის გეგმის შესრულებას. 1 დეკემბრამდე ყველა რაიონში უნდა შემოწმდეს საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ხარისხოვან ნათესთა ფაქტიური ფართობი, გამოვლინებულ იქნან ისინი, ვისაც კონკრეტულად მიუძღვის დანაშაული დაწესებული გეგმების ვადაზე შეუსრულებლობაში და სასჯელი დაედოთ მათ.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა რაიკომების ყველა მდივანს, რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს, მტს-თა დირექტორებს და რაიმიწგანების გამგეებს—1 დეკემბრისათვის დაამთავრონ საგაზაფხულო კულტურათა სათესლე ფონდების გამოყოფა, ამავე დროს მოაწყონ მათი დახარისხება და გაწმენდა, 10 დეკემბრამდე დაამთავრონ სათესლე მასალის პირველი ხარისხობრივი შემოწმება, მძრალად ხვნის სამუშაოს გასაძლიერებლად, საშემოდგომო თესვის დამთავრებისთანავე, ყველა ტრაქტორი და ცოცხალი გამწევი ძალა გადაიყვანონ მძრალად ხვნაზე.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, 1 იანვრამდე უნდა დამთავრდეს 250 ქოხ-ლაბორატორიის მოწყობა (აზერბეიჯანში — 100, სომხეთში — 60, საქართველოში—100). ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა რაიკომებსა და რაიაღმასკომებს გამოჰყონ კოლმეურნეობებში ამ ქოხ-ლაბორატორიებისათვის სათანადო სადგომები, მოამარაგონ ისინი მოწყობილობითა და სასოფლო - სამეურნეო ლიტერატურით, გააერთიანონ მათს გარშემო კოლმეურნეთა აქტივი, გააჩაღონ აგროტექნიკური სწავლება, დაამუშაონ თემატიკა საგაზაფხულო ცდების მოსახდენად, მიამაგრონ თვითეულ ქოხს რაიმიწგანის, მტს-ის აგრონომები, საცდელ დაწესებულებათა მეცნიერ-მუშაკები.

რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებსა და სახკომსაბჭოებს დაევალათ მიიღონ ზომები რომ 1935 წლის შემოდგომისათვის და 1936 წლის გაზაფხულისათვის დარგვის წინ ნიადაგის დამუშავება ვადაზე დამთავრდეს, აგრეთვე შესრულდეს ხეხილისა და ვაზის ნარგავთა საშემოდგომო გაშენებისა და რემონტის გეგმები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბაღების საშემოდგომო - საზამთრო წამლობას.

2. სას.-სამ. არტელების წესდებათა რეგისტრაციისა და კოლმეურნეობებისათვის მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტთა გადაცემის მსვლელობის შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებათა რეგისტრაცია და კოლმეურნეობებისათვის მიწის სამუდამო სარგებლობის აქტთა გადაცემა. საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ სასოფლო - სამეურნეო არტელების წესდებათა რეგისტრაციის საკითხებისა და კოლმეურნეობათათვის მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტების გადაცემის მოსამზადებელ სამუშაოებისადმი რესპუბლიკათა მიწსახკომების, პარტიის რაიკომების და რაიაღმასკომების არასაკმარისი ყურადღების შედეგად აღნიშნული სამუშაოები (მეტადრე აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში) ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ა.-წ. 1 ნოემბრისათვის არსებული ცნობებით სასოფლო - სამეურნეო არტელების წესდებანი რეგისტრირებულია: აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში—32,1 პროც., სომხეთის ს. ს. რესპუბლიკაში — 60,1 პროც. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში — 60,7 პროც., ამავე რიცხვისათვის კოლმეურნეობებზე სახელმწიფო აქტთა გაცემის გეგმა შესრულებულია: აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში—1,8 პროცენტით, სომხეთის რესპუბლიკაში — 24,9 პროცენტით და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში—32,35 პროცენტით.

ამასთან ერთად, საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა მთელი რიგი დამახინჯებანი, რომლებიც დაშვებულია წესდებათა მიღების, განხილვისა და რეგისტრაციის მსვლელობაში და მიწათმოწყობის ჩატარების დროს, სახელმწიფო აქტების გაცემასთან დაკავშირებით: კოლმეურნე ქალებს საკმაოდ არ იბამენ წესდებათა განხილვასა და მიღებაში (კალაძ. შტალა, ლენქორანი, ნუხა და სხვ.), წესდებათა რეგისტრაციას ფორმალურად უკიდებიან (აბარანი და სხვ.), არა აქვთ ზუსტად გაზომილი საზღვრები ნაკვეთების (ლანჩხუთისა და ვანის რაიონები), დადგმული არ არის საზღვრის ნიშნები (ვალარშაპატის, ყამარლუს, ლანჩხუთის, ვანის რაიონები), სამიწათმზომო გადანაღები სათანადო აქტებით არ არის გაფორმებული (ვანის და ლანჩხუთის რაიონები), საზღვრების დაწესებისას კოლმეურნეობების მიწებს ხარვეზიანად, ერთმანეთში არეულად სტოვებენ (ყაზახის რაიონი).

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებსა და სახკომსაბჭოებს დააჩქარონ სასოფლო-სამეურნეო არტელების წესდებათა მიღების განხილვა და რეგისტრაცია, ამასთან არ დაუშვან რაიაღმასკომების ფორმალური მიდგომა წესდებათა რეგისტრაციისადმი და ეს მუშაობა შეუგუონ წესდების პრაქტიკული განხორციელების შემოწმებას.

პარტიის რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს დაევალათ მოაწყონ კოლმეურნეობებში ყველა იმ სამუშაოს შემოწმება, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აქტების გადაცემასთან. გააძლიერონ სახელმწიფო აქტების მომზადებისა და გადაცემის ტემპები, ამასთან მტკიცედ დაიცვან საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია სახელმწიფო აქტების გადაცემის შესახებ და გამოასწორონ ამ მუშაობაში დაშვებული შეცდომები.

ვინაიდან შეუწყნარებელია მობილიზებულ მიწათმომწყობთა აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის რაიონებში გაგზავნის დაგვიანება (აწ. 13 ნოემბრისათვის აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით მობილიზებულ 114 მიწათმომწყობიდან რაიონებში გაიგზავნა მხოლოდ 40 კაცი); საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოს სამი დღის ვადაში უზრუნველყონ ყველა მობილიზებული მიწათმომწყობის რაიონებში გამგზავრება.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებსა და სახკომსაბჭოებს იანვარ - თებერვლის განმავლობაში მოიწვიონ ფართო პარტიული თათბირები იმ საკითხის განსახილველად, თუ როგორ სრულდება კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებანი და კოლმეურნეობათა სტალინური წესდება, ამ თათბირებზე გაარჩიონ კოლმეურნეობებში 1935 წლის შემოსავლის განაწილების შედეგები, აგრეთვე კოლმეურნეობებში 1936 წლის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მეურნეობისა და შრომის უკეთესი ორგანიზაციის ღონისძიებანი.

3. მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების მსვლელობაზე ა.-კ ფედერაციის რესპუბლიკებში

იმის შედეგად, რომ გაუმჯობესდა რაიონული პარტიული ორგანიზაციებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაობა მეცხოველეობის დარგში და გაიშალა მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თვითშემოწმებისათვის, საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, ა.-კ. ფედერაციის რესპუბლიკათა საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მაჩვენებელთა გაუმჯობესება (ბატკნების და ციკნების გაზრდის, ფერმის საერთო სულადობის გეგმა, საჯიშე ფერმების ორგანიზაცია, მეცხოველეობის კადრების მომზადება, სამეცხოველეო ნაგებობათა მშენებლობა, ზოოვეტერინარული ქსელის ორგანიზაცია და სხვ.). მაგრამ საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის, რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტებისა და ა.-კ. მიწსახკომის მიერ მოხდენილი შემოწმებით გამოირკვა, რომ მთელ რიგ რაიონებში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება.

აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში: ჩამორჩენილია ხბოებისა და კვიცების გაზრდის გეგმის შესრულება კოლმეურნეობებში; სუსტად მიმდინარეობს ხბოების კონტრაქტაცია ფერმებისა და უძროხო კოლმეურნეობებისათვის, დამაკმაყოფილებლად არ არის მუშაობა კორდებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე მეცხოველეობისათვის მიცემული კრედიტების ათვისება კოლმეურნეობათა მიერ.

სომხეთის ს. ს. რესპუბლიკაში: არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ხბოებისა და გოჭების გაზრდის გეგმის შესრულება კოლმეურნეობებში, ჩამორჩენილია ფერმებისა და უძროხო კოლმეურნეობებისათვის ხბოების კონტრაქტაციის გეგმის შესრულება.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში: ჩამორჩენაა კოლმეურნეობებში გოჭების გაზრდისა და ღორების საერთო სულადობის გეგმის შესრულებაში, სუსტად სრულდება უძროხო კოლმეურნეებისათვის ხბოების კონტრაქტაციის გეგმა.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა, რომ მთელმა რიგმა რაიონებმა (ნარიმანოვის, გეოქჩაის, ქედაბეგის, ყაზახის, მარტუნის, ნორბაიაზეთის, დილიჟანის, ბასარგეჩარის, კიროვაკანის, სენაკის, ბორჯომის, ახალქალაქის და სხვ.) დიდი მუშაობა გააჩაღეს ჩრდილო - კავკასიასთან დადებული სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესამოწმებლად და მოკლე ვადაში მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების გეგმის ყველა მაჩვენებლები, ხოლო მთელი რიგი რაიონები (ვართაშენის, ლაჩინის, საბირაბადის, ალჯაბადის, ალთაშის, ვედინის, არტიკის, საგარეჯოს, წალკის, ადიგენის და სხვ.) პარტიული ორგანიზაციებისა და სამიწათმოქმედო ორგანოების სუსტი მუშაობის შედეგად, ჯერ კიდევ მკვეთრად ჩამორჩებიან მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის და სოცშეჯიბრების ხელშეკრულების შესრულებაში.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებსა და სახკომსაბჭოებს, პარტიის რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს — ბოლო მოუღონ ჩამორჩენას მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის აღნიშნულ მაჩვენებელთა შესრულებაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფერმებში მოზარდეულის გაზრდის გეგმის შესრულებას ხბოების კონტრაქტაციის სარძე - სასაქონლო ფერმებისა და უძროხო კოლმეურნეებისათვის.

მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების სუსტი ხელმძღვანელობისათვის საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა გაფრთხილება მისცა პარტიის ალდაშის რაიკომის მდივანს ამხ. კაფაროვს, პარტიის ვართაშენის რაიკომის მდივანს ამხ. აბდულაევს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ალაჰვერდოვს, პარტიის საგარეჯოს [illegible] მდივანს ამხ. სალუქვაძეს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. მთვრალაშვილს, პარტიის არტიკის რაიკომის მდივანს ამხ. ცოვიანს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ანთანიანს და ალდაშის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ალექპეროვს.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს გაითვალისწინონ ცალკეულ კოლმეურნეობათა შესაძლებლობანი და გააჩაღონ მუშაობა ახალი საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების (სპეციალიზებულისა და შერეულის) მოსაწყობად. რისთვისაც კოლმეურნეობებში არსებული განსაზოგადოებული პროდუქტიული პირუტყვი მთლიანად გადაიყვანონ სასაქონლო ფერმების [illegible], აგრეთვე შეისყიდონ პირუტყვი საბჭოთა მეურნეობებიდან, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისაგან.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა გაითვალისწინა თივის თვალსაჩინო დანაკლისი გვალვიან ზაფხულთან (განსაკუთრებით აზერბეიჯანში) დაკავშირებით, ჰიდრომეტეოროლოგიური ცნობები მიმდინარე წლის ნაადრევი, ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთრის შესახებ და წინადადება მისცა რესპუბლიკათა მიწსახკომებს, რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს შეამოწმონ კოლმეურნეობებსა და ცალკეულ სოფლებში პირუტყვის დაყენება ბაგურ კვებაზე, აგრეთვე პირუტყვის განაწილება საზამთრო საძოვრებზე, მისი უზრუნველყოფა საპირუტყვე სადგომებით (გომურები, ბინები) და სადაზღვევო საკვები ფონდით. საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა რაიკომებს განიხილონ რაიკომ ბიუროებსა და რაიაღმასკომის პრეზიდიუმების სხდომებზე საძოვრების თვითეული მასივის, თვითეული კოლმეურნეობისა და სოფლის საბჭოს მიხედვით ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებას.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებსა და სახკომსაბჭოებს დასახონ, საქართველოს მაგალითის მიხედვით, ღონისძიებანი კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეებისაგან საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმებისათვის პროდუქტიული პირუტყვის შესყიდვის გასაძლიერებლად.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა რაიკომების მდივნებს და რაიაღმასკომების თავმჯდომარეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის მაჩვენებელთა შესრულებას საკოლმეურნეო კომლებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში და მოაწყონ მათ მიერ მოზარდეულის გაზრდის ვალდებულებათა შესრულების სისტემატური შემოწმება, ამასთან მიიღონ ყველა ზომა მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში უკვე მიღწეულ წარმატებათა განსამტკიცებლად.

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაადგინა გაგზავნოს დეკემბერში ამიერ-კავკასიის მეცხოველეობის მუშაკთა დელეგაცია ჩრდილო-კავკასიაში სოცშეჯიბრების ხელშეკრულების ურთიერთი შესამოწმებლად. (ადს).

თენგიზ ჟღენტი

30 წლის წინათ

შეიარაღებული აჯანყება და ჭიათურის ბოლშევიკები

„ბოლშევიკები რევოლუციის დაწყებისთანავე იცავდნენ და ატარებდნენ რევოლუციის ლენინურ სტრატეგიას და ტაქტიკას, ისინი იბრძოდნენ მუშათა და გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისათვის, რევოლუციის გამარჯვებისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ - დემოკრატიული დიქტატურის დამყარებისათვის"

ამხ. ლ. ბერიას მოხსენება ტფილისის პარტაქტივზე ა.-კ. ბოლშევიკურ ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში შეიარაღებისა და შეიარაღებული აჯანყების საკითხი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სადაო საკითხს ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის.

1905 წლის აპრილში პარტიის მესამე ყრილობამ დღის წესრიგში დააყენა შეიარაღებული აჯანყების საკითხი და მიიღო სათანადო რეზოლუცია. რეზოლუციის უკანასკნელი მუხლი ამბობდა:

„მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები პროლეტარიატის შესაიარაღებლად, აგრეთვე შეიარაღებულ აჯანყების გეგმის გამოსამუშავებლად და მისთვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად, რომ შექმნილ იქნას ამისათვის, საჭიროების მიხედვით, განსაკუთრებული ჯგუფები პარტიული მუშაკებისაგან".

რა თქმა უნდა, შეიარაღებისა და შეიარაღებულ აჯანყების საკითხში მენშევიკების ოპორტუნისტული შეხედულება გამომდინარეობდა აგრეთვე მათ მიერ 1905 წლის რევოლუციის ხასიათის ანტიმარქსისტული შეფასებისაგან. უკვე მაშინვე ცხადი გახდა, რომ მენშევიკები მუშათა კლასის საბოლოო მიზნებისათვის საბრძოლველად აღარ გამოდგებოდნენ.

შეიარაღებულ აჯანყების და რევოლუციაში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის უარყოფამ მენშევიკები ლოღიკურად მიიყვანა დროებით რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის უარყოფამდე. ასეთ პოზიციას მენშევიკები „სოციალდემოკრატიული პრინციპით" ამართლებდნენ. სწორედ ამ მენშევიკური პრინციპის შესახებ კავკასიის კავშირის ორგანო „პროლეტარიატის ბრძოლა" სწერდა:

„... უმცირესობა მაინც ახირებულა — პრინციპებს არ ვეწინააღმდეგებითო. სოცარი წარმოდგენა აქვს ამ ხალხს სოციალდემოკრატიულ პრინციპზე: ავიღოთ თუნდაც მათი პრინციპიული შეხედულება დროებით რევოლუციურ მთავრობაზე და სახელმწიფო სათათბიროზე. უმცირესობას არ უნდა დროებით მთავრობაში შევიდეს, რომელსაც რევოლუციის ინტერესები წარმოშობს — ეს პრინციპს ეწინააღმდეგებაო, მაგრამ უნდა სახელმწიფო სათათბიროში შევიდეს, რომელიც თვითმპყრობელობის ინტერესებმა დაბადა. ეს თურმე პრინციპს არ ეწინააღმდეგება. უმცირესობას არ უნდა დროებით მთავრობაში შევიდეს, რომელსაც რევოლუციური ხალხი მიიღებს და ხალხივე დაამტკიცებს — ეს პრინციპს ეწინააღმდეგებაო. მაგრამ მას უნდა სახელმწიფო სათათბიროში შევიდეს, რომელსაც თვითმპყრობელი მეფე მოიწვევს და მეფევე დაამტკიცებს — ეს თურმე პრინციპს არ ეწინააღმდეგება. უმცირესობას არ უნდა დროებითი მთავრობაში შევიდეს, რომელმაც თვითმპყრობელობა უნდა დაასამაროს, ეს პრინციპს ეწინააღმდეგებაო, მაგრამ მას უნდა სახელმწიფო სათათბიროში შევიდეს, რომელმაც თვითმპყრობელობა უნდა გაამაგროს — ეს თურმე პრინციპს არ ეწინააღმდეგება"...

(იხ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 11. 1905 წ).

ამრიგად, მენშევიკები გამოდიოდნენ შეიარაღებული აჯანყების და დროებით რევოლუციურ მთავრობაში შესვლის წინააღმდეგ, მაგრამ თუ, მიუხედავად ამისა, მათ საქართველოში მაინც ჰყავდათ წითელი რაზმი და ერთგვარი მონაწილეობა მიიღეს შეიარაღებულ გამოსვლებში, ეს იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიურად გამოსულ რევოლუციურ მუშებისა და გლეხების კუდში ჩანჩალი და მასებზე გავლენის დაკარგვის შიში. რომ მენშევიკების მონაწილეობა ზოგიერთ შეიარაღებულ გამოსვლებში იყო ძალაუნებური და ეს გამოსვლები მათი პრინციპის წინააღმდეგ ხდებოდა, ამას ნათლად ამტკიცებს ის დისპუტები, რომლებიც საქართველოში სწარმოებდა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის.

— თქვენ პირველ რიგში გსურთ შეიარაღება და სარუსეთო აჯანყების მოწყობა, ეს არის ბლანკიზმი და შეთქმულების ტაქტიკა. ჯერ შეგნება, შემდეგ შეიარაღება — ამბობდენ მენშევიკები. და ეს მაშინ, როდესაც რევოლუცია, შეიარაღებული გამოსვლები ფაქტი იყო. საინტერესო პასუხი მისცა მენშევიკებს ამ კითხვაზე ერთ დიდ მიტინგზე ამხ. ბუდუ მდივანმა. აი როგორ ჩამოაყალიბა მან ბოლშევიკების აზრი შეიარაღებულ აჯანყებაზე:

— სოციალდემოკრატიული აზრი თავში, რევოლუციური (ცეცხლი გულში და [illegible] თოფი ხელში.

რევოლუციის დაწყებისთანავე ბოლშევიკებმა ხელი მოჰკიდეს იარაღის შეძენას, მუშათა და გლეხთა შეიარაღებული რაზმების მოწყობას. ბოლშევიკები ამასთანავე ეწეოდნენ აგიტაცია - პროპაგანდას რევოლუციურ მუშათა და გლეხთა შეიარაღების და შეიარაღებული აჯანყების მოწყობის აუცილებლობის შესახებ.

ბოლშევიკური „პროლეტარიატის ბრძოლა" ბეჭდავს მთელ რიგ წერილებს, რომლებშიაც ასაბუთებს შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას და არკვევს იმ კონკრეტულ პირობებს, რომლებშიაც მუშათა კლასს მოუხდება მუშაობა ძალაუფლების დაპყრობის პირველ ხანებში.

1905 წლის რევოლუციის ძირითად საკითხებზე და კერძოდ, შეიარაღებულ აჯანყების საკითხზე 1905 წლის გაზაფხულიდან საქართველოში იმართებოდა დისპუტები. ამ დისპუტებზე, ამხ. სტალინი ანადგურებდა მენშევიკებს და ანვითარებდა ბოლშევიკურ თეორიას 1905 წლის რევოლუციის ხასიათის შესახებ. დისპუტების შემდეგ ყალიბდებოდა ცალკე ბოლშევიკური ორგანიზაციები.

ყველაზე ძლიერი ბოლშევიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ჭიათურაში, სადაც თავი მოიყარეს ბოლშევიკების საუკეთესო ძალებმა. ნათქვამის ნათელსაყოფად ზედმეტი არ იქნება ზოგიერთი მათგანის ჩამოთვლა: სტალინი, საშა წულუკიძე, მიხა ცხაკაია, მიშა დავიდოვი, სტეპკო ინწკირველი, გერმან მგალობლიშვილი, ბუდუ მდივანი და სხვები *).

ჭიათურა დანაწილებული იყო რაიონებად: ზედარგანი, ღვიმევი, შუქრუთი, პერევისა და სხვ. თვითეულ რაიონს ჰყავდა ორგანიზატორი და ორი ან სამი პროპაგანდისტი. პროპაგანდისტთა კოლეგიის წევრი ორშაბათიდან შაბათამდე მეცადინეობას ატარებდა თავის რაიონის მუშათა წრეებში. უსაქმოდ ქალაქში ჩამოსვლის ნება არ ჰქონდა. მათი მოვალეობა იყო აგრეთვე კამათში გამოსვლა მენშევიკებთან, ესერებთან და სხვ. პარტიების ორატორებთან. გარდა ამისა, ყველა პროპაგანდისტს სახელმძღვანელოდ მიცემული ჰქონდა სოფელი და იქ უნდა გამგზავრებულიყო კვირა დღეს. ჩამოსვლისას მას უნდა გაეკეთებინა კომიტეტის და პროპაგანდისტთა კოლეგიის სხდომაზე ინფორმაცია რაიონში და სოფლად მის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე. ჭიათურაში მოწინავე მუშებად ითვლებოდენ შავი ქვის ვაგონების დამტვირთავი მუშები. აქ, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა ბოლშევიკი იყო.

სწორედ ამ პერიოდს ახასიათებს ამხ. ლ. ბერიას მოხსენებიდან შემდეგი ადგილი: „ამხ. სტალინი ჭიათურაში აწყობს პარტიის ბოლშევიკურ სამხარეო კომიტეტს, მოწინავე აქტივისტ მუშებისაგან გამოყოფს პროპაგანდისტთა ჯგუფს. აგრეთვე ამზადებს აქტივის სპეციალურ ჯგუფს ჭიათურის რაიონის გლეხთა შორის სამუშაოდ".

ჭიათურის ბოლშევიკური კომიტეტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუშებში და მთელი მაზრის გლეხკაცობაში. ჭიათურის პარტიული ორგანიზაციის და მუშების აბსოლუტური უმრავლესობა 1905 წ. გაზაფხულზე დადგა ბოლშევიკების მხარეზე. ბოლშევიკების ამ გამარჯვების ორგანიზატორი იყო ამხ. სტალინი.

რევოლუციის ტალღები ფართოდ მოედო მთელს საქართველოს და, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს. მეფის მთავრობა დაფრთხა.

ვრცელ პატაკში ქუთაისის გუბერნიაში დაბანაკებული ჯარების სარდალი შიშკოვსკი აწერს რა ჯარების მდგომარეობას და მათ რიცხვს, ამბობს: „...ტენგინის პოლკის სამი ასეული ამჟამად იმყოფება შემდეგ ადგილებში: ერთი სად. წიფაში და გვირაბს იცავს, მეორე — ბელოგორში და მესამე ყვირილაში. გთხოვთ ისინი არსად არ იქნენ გადაყვანილი იმიტომ, რომ სენაკისათვის და სამტრედიისათვის არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, რომ იქ თითეული ასეული იმყოფებოდეს, რადგან ამ პუნქტების ირგვლივ გურულების შეიარაღებული ბანდა იკრიბება. სურამის გვირაბი არ შეიძლება დატოვებულ იქნას დაუცველად და სამი ასეულის ყოფნა გვირაბამდე ჩვენ რამოდენიმედ გაგვიადვილებს მიმოსვლის დაცვის საქმეს. ქ. ტფილისამდე".

მეორე გენერალი კავკასიის პოლიციის უფროსი შირინკინი მეფის ნაცვალს ასე მოახსენებს: „გურიიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიღებული ცნობები ბნელი საღებავებით ასურათებენ ამ პროვინციის მდგომარეობას და გავრცელებული ხმებიც თითქოს იმას ადასტურებენ, რომ მხარე მოცულია აჯანყებით, რამაც ვითომ იფეთქა 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე".

ასეთი იყო მდგომარეობა მთელ დასავლეთ საქართველოში. რევოლუციური მღელვარება გაფართოვდა. ლოზუნგი — ბოიკოტი მთავრობას და მის მოხელეებს, არც ერთი სალდათი მეფის არმიას, არც ერთი კაპიკი მეფის ხაზინას — რეალურ საქმედ იქცა. ასეთ მომენტში მენშევიკები აჯანყების მოწყობას და დროებით რევოლუციურ მთავრობაში შესვლაზე უარს ამბობდენ. ბოლშევიკები კი მტკიცედ ატარებდენ პარტიის მე-3 ყრილობის დირექტივებს. ამის საუკეთესო მაგალითია ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაცია.

საქართველოში ყველაზე ძლიერი რაზმი ჰყავდა ჭიათურის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. გარდა ბოლშევიკების წითელი რაზმისა შორაპნის მაზრაში მართალია არსებობდა კიდევ სამი წითელი რაზმი მენშევიკების, აფრასიონ მერკვილაძის და ესერების, მაგრამ ბოლშევიკების რაზმი ყველაზე მრავალრიცხოვანი, ძლიერი და ორგანიზებული იყო.

პარტიულმა ორგანიზაციამ პირველ პერიოდში სოფლად მოახდინა იარაღის მობილიზაცია, შეძენილი იარაღები უკვე საკმაო იყო, რომ შემდგარიყო წითელი რაზმის პირველი ბირთვი.

1905 წლის აგვისტოში ბოლშევიკური წითელი რაზმი თავს ესხმის ჩხარის საპოლიციო უბანს, აიარაღებს სტრაჟნიკებს და პრისტავს. ამის შემდეგ ბოლშევიკური წითელი რაზმი უკვე სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენს. წითელი რაზმის ასეული მანევრებზე გამოვიდა, დემონსტრატიულად გაიარა სოფლები — სვირი, მაქათუბანი, ცხრა კვეთი და სხ. 4 დეკემბერს. ეს რაზმი თავს ესხმის შორაპნის სამაზრო პოლიციას, აიარაღებს მას და ადგენს რაზმის მეორე ათეულს.

რაზმი გადავიდა სამაზრო ცენტრში და სადგურ ყვირილასა და ბელოგორში განაიარაღა ტენგინის პოლკის ორი როტა. ეს ოპერაცია დაწვრილებით აქვს აწერილი ამხ. ვ. მ. საყვარელიძეს თავის ნაშრომში „შეიარაღებული აჯანყება". (პოლიტკატორღელთა საზ-ბის გამოცემა 1932 წ.)

ბოლშევიკების წითელ რაზმში უმეტესობა პარტიის წევრები და პასუხისმგებელი ამხანაგები იყო. რაზმელთა შორის მტკიცედ იყო დაცული დისციპლინა და სწარმოებდა პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. რაზმის მეთაური იყო ვანო ყიასოვი.

ესერების რაზმი შესდგებოდა ცალკეულ ინტელიგენტებისა და წვრილი ვაჭრებისაგან. მათი რიცხვი 10—15 კაცს არ აღემატებოდა. მისი მეთაური იყო კოლია ნემსაძე, რომელიც ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის შემოტევისთანავე ალიხანოვს მიემხრო და პრისტავად დაინიშნა.

მენშევიკების რაზმის მეთაური იყო ვინმე არსენ ფალავანდიშვილი. შემდეგ ის აღმოჩნდა ვანო ქარსიძე. მისი ვინაობა არავინ იცოდა. როდესაც ის ციხეში მიხვდა, მისი ვინაობა ჩქარა გამოირკვა. ციხეში მან ჯაშუშობა დაიწყო. მერკვილაძის ტუსაღი რაზმელები მას ციხის დერეფანში თავს დაესხნენ და ახრჩობდნენ, მაგრამ ციხის მცველებმა მოუსწრეს და გადაარჩინეს. რადგან მისი მოკვლა ქუთაისის ციხეში არ მოხერხდა, ის ტუსაღებმა მოკლეს რუსეთის საკატორღო ციხეში.

მერკვილაძის წითელი რაზმი მხოლოდ თვით მერკვილაძის ემორჩილებოდა. ბევრს არ აქვს გარკვეული თუ ვინ იყო აფრასიონ მერკვილაძე. ზოგი მას ბოლშევიკად სთვლის, ზოგი მენშევიკად. ის არ იყო არც ბოლშევიკებთან და არც მენშევიკებთან. დისპუტებზე ის ებრძოდა ბოლშევიკებს. არც მენშევიკების ორგანიზაციაში შედიოდა. მის შესახებ აგრეთვე გავრცელებულია შეხედულება თითქოს ის იყო ყაჩაღი. არც ეს შეხედულებაა მართალი. ეს რაზმი წარმოიშვა სტიქიურად რევოლუციის აზვირთების პერიოდში და როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები ცდილობდენ ამ რაზმის მოქცევას თავიანთ გავლენის ქვეშ. რეაქციის პერიოდში სხვა პარტიებზე უფრო მერკვილაძის რაზმზე მეტი გავლენა ბოლშევიკებს ჰქონდათ. ხშირად ამ რაზმს ბოლშევიკები იყენებდენ.

მერკვილაძის რაზმის ერთი ნაწილი რეაქციის პერიოდში შეუერთდა ბოლშევიკებს. ესენი იყვნენ: [illegible] ჩუბინიძე, ისმაილ ჭუმბურიძე, ამბაკო სამანიშვილი, პორფილე ჩაიქაძე, კოლია ლორთქიფანიძე და სხვები.

ჭიათურის ბოლშევიკური წითელი რაზმის იარაღები რეაქციის გამარჯვების შემდეგაც, დიდხანს ინახებოდა, რადგან ბოლშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ რევოლუციის ტალღები კიდევ აზვირთდებოდა.

მართლაც, 12 წლის შემდეგ რუსეთში კვლავ იფეთქა რევოლუციამ. 1905 წლის „გენერალური რეპეტიციის" შედეგად, ძლევამოსილმა ოქტომბერმა საბოლოოდ წალეკა რუსეთის თვითმპყრობელობა და კაპიტალიზმი.

◆

---

*) აგრეთვე თვით ამ წერილის ავტორიც. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაისა და ციტრუსების სტახანოველები

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ სტახანოველებს, კიდევ უფრო გაშალონ სტახანოვური მოძრაობა და გაავრცელონ იგი ჩვენი ქვეყნის მთელ სიგრძე-სიგანეზე და სიღრმეზე ს.ს.რ. კავშირის ყველა ოლქსა და რაიონში.

ი. სტალინი

სოფ. დაგვის (ქობულეთის რაიონი) ამხ. ვოროშილოვის სახ. კოლმეურნეობის ციტრუსების ბაღნარში. სურათზე: მარცხნიდან—მარჯვნივ — ლიმონის ნაყოფი; კოლმეურნეობის მე-16-ე ბრიგადის მკრეფავი ქალი მარი გონიადი ჯგუფის ხელმძღვანელს წონით აბარებს მოკრეფილ მანდარინს; კოლმეურნე ქალი კლეენა დერვიშიძე მანდარინის კრეფაზე; ლიმონის ნაყოფის საზამთროდ შეფუთვა; ფორთოხალი კალათში.

ფოტო რ. აკოფოვის

ჩაი წარმოადგენს აკურატულ მეურნეობას. ჩაის პლანტაცია მოგვაგონებს კარგად მოქარგულ აღმოსავლურ ხალიჩას. როგორც ხალიჩის მქსოველი ყურადღებით და ზუსტად მუშაობს ხალიჩაზე, ასევე ყურადღებით მზრუნველობით და ზუსტად უნდა ვიმუშაოთ ჩვენი ჩაის პლანტაციების ხალიჩაზე.

ლ. ბერია

□ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □

კოლმეურნეობა მილიონერი

„კომუნისტის" სპეციალური ბრიგადის წერილი

„სალამი, ძვირფასო ამხანაგებო! ერთ წუთს შეიძლება გაგაკვირვოთ კიდეც ჩემმა წერილმა, რადგან მე თქვენთვის უცნობი პიროვნება ვარ, თქვენც ჩემთვის უცნობი ხართ, მაგრამ მე თქვენ, როგორც კოლმეურნეებს ჩემს მეგობრებად გთვლით... ერთერთ გაზეთში ამ დღეებში წავიკითხე სტატია სათაურით: „მილიონერი", რომელიც შეეხებოდა

ფოტო რ. აკოფოვისა

სტახანოველი კოლმეურნე თედორე კაკოსინიძე.

თქვენს კოლმეურნეობას. იმ სტატიაში ეწერა, რომ თქვენი კოლმეურნეობა შესდგება 198 მეურნეობისაგან და რომ თქვენი კოლმეურნეობის მარტო ფულადი შემოსავალი ორ მილიონ მანეთს უახლოვდება; საშუალოდ თვითეულ კომლზე (მეურნეობაზე) მოდის ათი ათასი მანეთი. ხოლო ერთ შრომადღეზე—დაახლოებით 18 მანეთი. ჩვენ, აზოვ-შავი ზღვის მხარის, ტიხორეცკაიას რაიონის კოლმეურნეობას („ლენინსკი პუტ") ეს მოგვეჩვენა არა სინამდვილედ არამედ ზღაპრად".

ტიხორეცკელი კოლმეურნე მურომცევ! ჩვენ წავიკითხეთ თავიდან ბოლომდე თქვენი წერილი, რომელიც ჯიბეში უდევს აჭარელ მილიონერს—სოფელ დაგვის (ქობულეთის რაიონი) **ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას.**

რატომ? რატომ მოგეჩვენათ ის ზღაპრად?

ჩვენ ჩვენის თვალით ვნახეთ ეს მილიონერი. ქობულეთის სადგურიდან რამდენიმე კილომეტრს რომ გაივლით, როცა დასტოვებთ ზღვის თეთრ ქვიშებს, გადასჭრით რკინიგზის ლიანდაგს და შეჰყვებით აღმართს, მალე გამოჩნდება სერები, რომელთაც ჰორიზონტალურად უდევს მწვანე გვირისტი — ეს ჩაის ჭარბორა ბუჩქებია და იგი ამ მილიონერს ეკუთვნის. ცოტა ხანი და თქვენი თვალი ხარბად დააცქერდება შინდისფერ ფოთლებში გაბადრულ ხილებს, ქარვის სისხლი რომ მოსწოლიათ ლოყებზე. **ეს მანდარინის პლანტაციაა და იგი კოლმეურნე მილიონერს ეკუთვნის.** მიდიხართ მაღლა და მაღლა. თვალი ვერ ძღება ცქერით... რა საუცხოოდ არის მოვლილი ყოველი ბუჩქი. მანდარინის ყოველი ხე!

o

აჭ. აჭარა-გურიის მთის შესადგომთან, მის ხავერდოვან კალთებზე გაუმართავს თავისი სამფლობელო აჭარელ მილიონერს — სტახანოველთა პირმშოს. დიახ! სტახანოველთა პირმშოს. **მუშაობის სტახანოვური მეთოდი—აი ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მილიონერად გადაქცევის „საიდუმლოება".**

ვაშა სტახანოვს! ვაშა ბუსიგინს! ვაშა მარიამ დემჩენკოს.

კრემლის დიდ დარბაზში თქვენ ამ დღეებში ტაშს გიკრავდათ დიდი სტალინი. აქაც, აჭარისტანის მთის კალთებში, ჩაის პლანტაციებში ბარებით გასული დამკვრელი ვოროშილოველები, მანდარინის საკრეფად გამოსული, თეთრთავსაფრიანი დამკვრელი კოლმეურნე ქალები. წამდაუწუმ იმეორებენ თქვენს სახელს. გაზეთებში ათვალიერებენ თქვენს სურათს. ხარბად ეცნობიან და ნერგავენ თავიანთ მინდვრებში თქვენებურად მუშაობის ოსტატობას.

o

...აი თურინალე სტახანოველი, ჩაის ბუჩქის გულმოდგინე ბრიგადირი **პროკოფი გონიადი.** რა სიამაყით, რა სიხარულით ლაპარაკობს იგი თავის გამარჯვებაზე. და განა სახუმარო საქმე გააკეთა მან! დიახ!—ტანჯვით დაჯილდოებულ ადამიანს შეუძლიან სასწაულის მოხდენა.. მან იცის, რა ახარებს ჩაის ბუჩქს. მან იცის ამხ. **ლავრენტი ბერიას დირექტივა,** რომ „ჩაის ყოველ ბუჩქს უვლით ჩინებული მოპყრობით". იგი თავის მაკრატელს სწორედ მაშინ შეახებს ბუჩქს შესაკრეფად, როცა ზედმეტი ზრდა აწყენს მას.

განა გონიადი მარტოა? მას გვერდში უდგას სტახანოველი ქალი **ევრიკლი კასიტერიძე.** მან ჩაის კრეფაში წელს რეკორდი დაამყარა. როცა დღიური კრეფის ნორმად ამ კოლმეურნეობაში მიღებული იყო 17 კილოგრამი, იგი ჰკრეფდა 35-40 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. ჩაის კრეფაში მან ბევრი რამ ახალი შეიტანა. მან გადააკეთა საკრეფი კალათი. თუ წინათ, მკრეფავი მოკრეფილი ჩაის მწონავთან მიტანაზე, უნდა მოცდენილიყო, კასიტერიძის წინადადებით ეს წესი მოისპო. მწონავი თვითონ მიდის მკრეფავთან.

ასეთივე სტახანოველები არიან **ნიანიძე ნიკოლოზ, პავლიძე კალიოპე, კაკოსინიძე, თედორე და სხვები... ისინი თავიანთი** სტახანოვური მუშაობით ენტუზიაზმის ახალ ტალღას იწვევენ კოლმეურნეთა შორის, რომელნიც დღითიდღე ამრავლებენ სტახანოველთა რიგებს.

აი რას მიაღწიეს მათ საკოლმეურნეო მინდვრების ამ სტახანოველთა თაოსნობით. სამიოდე წლის წინათ, ჩაის ეჭირა 56 ჰექტარი, დღეს კი ჩაის კოხტა პლანტაცია გაშლილია ფართობზე 126 ჰექტარზე. ციტრუსების ფართობი 14 ჰექტარიდან გაიზარდა 24,5 ჰექტარამდე.

საინტერესოა მოსავლიანობის გადიდების დინამიკა. 1931 წელს ვოროშილოველებს ჰექტარზე მოჰყავდათ, 736 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 1932 წელს 1102-დე, 1933 წელს—2.170-მდე, 1934 წელს — 2.632 კილოგრამამდე, ხოლო წელს —სტახანოვური მეთოდის გაშლის წყალობით, **ჰექტარზე მოგვცეს უკვე საშუალოდ 3.264 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.**

მწირი იყო შრომადღე პირველ ხანებში. მაგალითად, 1934 წელს შრომადღის ღირებულება უდრიდა 4 მან. და 42 კაპიკს, წელს კი—18 მანეთს აღემატება. აი ნათელი ილუსტრაცია დიდი სტალინის ბრძნული ნათქვამისა, რომ პატიოსანი საკოლმეურნეო შრომაა შეძლებული ცხოვრების საწინდარი!

o

...და პატიოსანი, თავდადებული, სტახანოვური მეთოდით მუშაობის შედეგად კოლმეურნეობა აივსო ბარაქით. მარტო ჩაისგან კოლმეურნეობამ **ამ წელს მიიღო 1.801.000 მანეთი, ციტრუსებისგან მიიღებს 580.000 მანეთს.**

სიტყვა ღარიბი (?) ვოროშილოველებს შერჩენიათ მხოლოდ **ხარლამპი ელმახიძისათვის,** რომელმაც წელს უნდა მიიღოს... **6.144 მანეთი!** ის ვოროშილოველებს ღარიბად მიაჩნიათ. შედარებითია ყველაფერი!..

აბა, აიღეთ **ფეოდორე კაკოსიძე.** იგი წლის კოლმეურნეობიდან მიიღებს **16 ათას მანეთს,** ხოლო თავის საკარმიდამო მეურნეობიდან—5000 მანეთს; **ევრიკლე კასიტერიძის** დამკვრელ კოლმეურნე ქალს, რომელსაც ქმარი ავად ჰყავს, გამომუშავებული აქვს 666 შრომადღე. იგი კოლმეურნეობისაგან მიიღებს **12500** მანეთს, საკარმიდამო მეურნეობიდან—**3.000 მანეთს.** კასიტერიძე უკვე შესდგომია კოხტა, ოთხოთახიანი სახლის აშენებას. და მრავალია ისეთი კოლმეურნე, რომელიც ათი ათასებს აიღებს კოლმეურნეობის მილიონებიდან.

და სდუღს ცხოვრება. სჩქეფს ახალი სოციალისტური ცხოვრების ნაკადული. სიხარულსა და კმაყოფილებას კითხულობთ ყოველი ვოროშილოველის, დიდის და პატარის სახეზე. სიხარულით აღსავსე მიდიან ისინი კიდევ უკეთესი მომავლისაკენ და მადლობას უძღვნიან დიდ სტალინს შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის.

დაგვა, ქობულეთის რაიონი.
21 ნოემბერი.

ციტრუსების ხუთწლედი ოთხ წელში!

ქობულეთის რაიონში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა პრაქტიკული ღონისძიების დამუშავება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს იმ დადგენილების განსახორციელებლად, რომელიც ციტრუსოვანთა ფართობის გადიდებას შეეხება.

სოფელ **დაგვის** ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში კი ეს საკითხი დაწვრილებით განიხილეს, მიწის არსებული რესურსები გამოარკვიეს და გადასწყვიტეს: ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად ციტრუსების ნარგავი კოლმეურნეობის განაზოგადოებულ ნაკვეთებზე გაადიდონ 40 ჰექტარით

21 ნოემბერს სპეციალურად მოწვეულ კრებაზე, რომელზედაც ციტრუსების განვითარების საკითხი იყო დასმული, 19 საკოლმეურნეო კომლმა იკისრა ვალდებულება — ციტრუსების ნარგავთა რაოდენობა თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთზე აიყვანოს 40 ძირამდე.

ვოროშილოველები, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ ციტრუსოვანთა სანერგის გაფართოებას. უკვე სწარმოებს მუშაობა იმისათვის, რომ 1936 წლისათვის სანერგის ფართობი გადიდებული იქნას, 4 ჰექტარამდე. (ახლა არის 1 ჰექტარი).

ვოროშილოველებმა გადმოისროლეს ლოზუნგი — **ციტრუსების ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში!**

და აკეთებენ ყველაფერს, რათა ეს ლოზუნგი შესრულდეს ხარისხის მტკიცედ დაცვით.

□ □ □

პროკოფი გონიადი

„კომუნისტის" სპეციალური ბრიგადისაგან

ტანად ის საშუალოზე დაბალია, მკვრივად ნაკვერი და მუსკულებ მოძალებულია:. განიერი მკერდი, ოდნავ ჩაჭყეული თვალის უბეები და ტროპიკული მზის სხივებით შებრინჯაოებული პირისახე უმტკიცებს, რომ საკოლმეურნეო მინდვრების ერთგული უნდა იყოს იგი.

თავდაბლად მოგვცა სალამი და გამოგვემცნაურა:

... პროკოფი გონიადი გახლავართ, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

მას, შემდეგ, რაც ხონთქარმა საბერძნეთი დაამარცხა და ტრაპეზუნტის ვილაიეტი დაიპყრო, შეუძლებელი გახდა იქ ბერძენთა ტომების უშფოთველი ცხოვრება.

და... მიმოიფანტნენ ოსმალეთის ბერძნები სხვა და სხვა ქვეყნებში. ზოგმა ირანის ლომის - შაჰ-აბაზის ქვეშევრდომობა მიიღო, ზოგი კი ბათომის მხარეს გადმოიხვეწა და აჭარის მთებს შეეხიზნა. ამათ ეკუთვნოდნენ პროკოფის წინაპრებიც...

ჩვენს წინ რომ ახლა პროკოფი გონიადი დგას, იმ ეპილ გონიადის შვილია, რომელმაც ცარიზმის დროს საბერძნოე ქვის თლაში, ნიადაგ შიმშილსა და მაღლურ უმადურობაში დალია ტანჯული სიცოცხლე.

o

როდესაც ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის კრებაზე დაისვა საკითხი, თუ ვის შეიძლება დაგვაში ატარებდეს სტახანოველის საპატიო სახელს — მთელმა კრებამ, როგორც ერთმა კაცმა. იყვირა:

— პროკოფი!

დიახ პროკოფი.... პროკოფი გონიადი. იგი რეკორდებს ამყარებს ჩაის, მანდარინის და ბრინჯის მოსავლიანობის გადიდებაში. იგი იძლევა ნიმუშებს სამუშაოთა ხარისხის განსაკუთრებული სიზუსტით დაცვაში. იგი უჩვენებს მაგალითს, თუ როგორ უნდა გადასცეს სასარგებლო გამოცდილება ამხანაგებსა და მეზობელ კოლმეურნეობს.

— ჩაი, — ამბობს პროკოფი, — ძალიან მიზეზიანი და სათუთად მოსავლელი მცენარეა. ვაუგებ სიდუმლოებას ამ „პირვეულ" მცენარეს. მოსავლით ავავსებს. ვერ გაუგებ და... იტლინკე, დავსვამს პირში ჩალა - გამოვლებულს.

პროკოფიმ გაუგო ჩაის და ამიტომ არის, რომ ჩაის პლანტაციაც „უგონებს" პროკოფის.

წელს სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას ჰექტარიდან საშუალოდ სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 3007 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. გონიადის ბრიგადამ კი ჩააბარა **4 000 კილოგრამი.**

ჩაის ეს საჰექტარო მოსავლიანობა დიდად აღემატება იმ ნორმებს, რომელიც დამკვიდრდა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. გარდა იაპონიისა, ასეთ მოსავალს არც ერთი ქვეყანა არ იცნობს!

როგორ აღწევს ამ სარეკორდო მოსავლიანობას პროკოფი გონიადი და მისი ბრიგადა?

ჩაის აგროტექნიკის დაუფლებით. პლანტაციების სანიმუშო მოვლით. დანაკარგების მოსპობით!

[illegible] ჩაის ბუჩქისათვის ფორმის მიცემა. ამ სამუშაოს აქ ყველაზე უფრო პასუხსაგებ ოპერაციად სთვლიან და მას ყველაზე გამოცდილ კოლმეურნეებს მიანდობენ ხოლმე.

— დავაკვირდით და შევატყეთ,— გვეუბნება ამხანაგი გონიადი, — რომ ბუჩქს თუ ზერელედ გავსხლავდით, კრეფის დროს საქმაო დუყის ნაცვლად ვღებულობდით ყვავილს და ჩაის თესლს. და მხოლოდ მაშინ, როდესაც გასხვლის დროს დავიცავით აგროწესებით ნაჩვენები ტოტები! სიმაღლე სასარგებლო შედეგი მივიღეთ.

ჩაის კრეფა გონიადის ბრიგადაში განსაკუთრებული წესით ხდება. პრაქტიკაში, როგორც წესი, მოსავლის მომცემ ჩაის ბუჩქიდან ჰკრეფენ ყველა მომწიფებულ ყლორტს.

გონიადი კი ასე არ იქცევა. იგი ფოთოლს ჰკრეფს იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ბუჩქი. ახალგაზრდა ბუჩქზე ჰკრეფს მხოლოდ იმ ყლორტს, რომელიც ამოზრდილია ბუჩქის შუაში, ბუჩქის გვერდების ყლორტებს კი, უფრო ხშირად მოუკრეფავად სტოვებს.

გონიადის სიტყვით, ეს საჭიროა იმისათვის, რომ ბუჩქი თამამი გახდეს, გამსხვილდეს და მოსავალმაც ერთიორად იმატოს

გონიადის ბრიგადის ყოველ წევრს ნათლად აქვს წარმოდგენილი ის დამღუპველი შედეგი, რომელიც მოსდევს კრეფის დაგვიანებას.

კრეფის დაგვიანება სამნაირად გვაზარალებსო — ამბობს გონიადი.

— როგორ სამნაირად?

— აი როგორ: როდესაც ყრუ ნაზ ფოთოლს დროზე არ მოვკრეფთ, იგი უხეშდება და კარგავს ხარისხს— ეს ერთი ზარალი. დროზე მოუკრეფაობით გაუხეშებული ყრუ დუყი წონით უფრო ნაკლებია, ვიდრე დროზე მოკრეფილი — ეს მეორე ზარალი. და მესამეც ის, რომ მომწიფებული ფოთლის გადაბერებით ესპობა ბუჩქზე ახალი ყლორტის მოყრის საშუალება.

გონიადის ბრიგადა კი ჩაის გაუწყვეტლივ ჰკრეფს. და ამიტომ მან, არ იცის, თუ რა არის დანაკარგი ჩაის პლანტაციებში.

გონიადის პლანტაციები, რომელიც ფერდობებზეა გაშენებული, დასერილია სადრენაჟო ჩილით ეს არხები წელიწადში რამდენიმეჯერ იწმინდება.

ხშირად წვიმა ჩაის ბუჩქს ძირს ჩამორეცხავს, ნიადაგის ჰუმუსიანი ფენა სასუქიანად დაიქანება ქვევით და სადრენაჟო არხში მოექცევა. გონიადის ბრიგადის წევრები ამ ნარეცხს იღებენ და იგი ხელახლა შეაქვთ პლანტაციაში.

1933 წლის გაზაფხულზე გონიადის ბრიგადა მეტის - მეტი სიდიდის გამო ორად გაჰყვეს. მიწებისა და პლანტაციების განაწილების დროს როგორღაც ისე მოხდა, რომ საუკეთესო პლანტაციები ერგუნეს იმ ბრიგადას, რომელიც გონიადს გამოეყო. გონიადს კი გადასცეს შედარებით სუსტი და ნაკლებ-მოსავლიანი პლანტაციები.

ფოტო რ. აკოფოვისა

სტახანოველი კოლმეურნე ევრიკა კასიტერიძე

მიუხედავად ამისა, გონიადის ბრიგადამ 1934 წელს ცოტათი გაუსწრო მოსავლიანობაში მისგან გამოყოფილ ბრიგადას, ხოლო წელს გონიადს ჰქონდა ჰექტარზე 500 კილოგრამით უფრო მეტი ჩაის მოსავალი, ვიდრე ივანე გაპასაკალიძის ბრიგადამ, რომელიც 1933 წელს გონიადის გამოეყო და რომლის ხელშიც ჩაის საუცხოო პლანტაციები იყო.

o

ასეთია სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში მეჩაიე **სტახანოველ პროკოფი გონიადის სახახელო მაჩვენებლები.**

გონიადიმ თავისი ბრიგადირობის პერიოდში უკვე მოასწრო გამოეზარდა რამდენიმე სტახანოველი, რომლებიც ყირაზე აყენებენ კანცელარიებში შედგენილ ჩაის სამუშაოთა ნორმებს და იძლევიან შრომის ნაყოფიერების სარეკორდო მაჩვენებლებს. ესაა, მაგალითად, სტილიდი ხარლამპი, რომელიც გონიადის პირველ თანამებრძოლთა [illegible]. ასეთნი არიან: **ქსანდოპულო ელპიდი, გონიადი კერეტინა და სტილიდი ალათი,** რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ 17 კილოგრამის ნაცვლად ყოველდღიურად კრეფდნენ 35-40 კილოგრამ ჩაის.

o

პროკოფი გონიადიმ მის მიერ გამომუშავებულ შრომა - დღეებში უკვე **მიიღო 20 ათასი მანეთი.** პროკოფის ეზოში ექვსამდე ოსტატი გამალებით არღვევს ძველებურ საცხოვრებელ სახლს და საჩქაროდ აჰყავთ ხარაჩოები ახალი ხუთოთახიანი ოდის ასაგებად.

ახმედ სტახანოველი

ტფილისში, ფედერაციის მოედანზე რომ გაივლით თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მოწინავე კოლმეურნეობათა საპატიო დაფა, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით მოეწყო ოქტომბრის რევოლუციის მე-18 წლის თავთან დაკავშირებით.

ამ დაფას სხვა მოწინავე კოლმეურნეობების გარდა ამშვენებს **სოფ. ბობოყვათის (ქობულეთის რაიონი) მოლოტოვის სახ. კოლ**მეურნეობა, რომლის თავმჯდომარეა **ამხ. სკენდერ მახარაძე.**

ამ კოლმეურნეობაში ყველა დამკვრელურად მუშაობს, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა მეხუთე ბრიგადა, რომლის ხელმძღვანელია კომკავშირელი **ახმედ მახარაძე.**

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ახმედის ბრიგადამ სავსებით შეითვისა სტახანოვური მუშაობის სტილი. შრომის მაღალი ნაყოფიერება, აგროტექნიკის ბოლშევიკურად დაუფლება. ადამიანების სწორად განაწილება, სამუშაო საათების ზუსტად დაცვა და სამუშაო იარაღების ეფექტიურად გამოყენება, შრომის ნაყოფიერების დიდი ზრდა, — აი რით დაიმსახურა მახარაძის ბრიგადამ სტახანოველის საპატიო სახელი.

ახმედის ბრიგადამ წელს ჰექტარიდან 2500 კილოგრამი ჩაის ფოთლის ნაცვლად საშუალოდ მიიღო 2700 კილოგრამი. ხოლო ზოგიერთ ნაკვეთიდან კი 4.000 — 4.200 კილოგრამი. ამის გამო ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულდა 120 პროცენტით. მთელი მოკრეფილი რაოდენობიდან **პირველი ხარისხის იყო 92,8 პროცენტი.**

როცა ამ ბრიგადის ჩაის ნაკვეთებს ნახულობთ, რწმუნდებით, რომ ჩაის ბუჩქს აქ თვალისჩინივით უვლიან. 6.2 ჰექტარზე გადაჭიმული ჩაის ბუჩქები ხელის გულივით არის გასუფთავებული.

აქ წინად ჩაის პლანტაციებს მოსვენებას არ აძლევდა სარეველა ბალახი — მწყერის ფეხა, რომლის ღერო ადვილად ფესვიანდება და იძლევა ახალ ნაყარს. ამიტომ თოხნის დროს მწყერისფეხას ღეროები და ფესვები ფოცხით შეაგროვეს. გამოიტანეს პლანტაციის ნაპირას, დააკომპოსტეს და სასუქად გამოიყენეს.

ამხ. ახმედ მახარაძე.

ფართოდ გავრცელებული იყო აგრეთვე სარეველა ტრიასკუდა, რომელიც თესლით მრავლდება. ესეც მოსპეს სისტემატიური თოხნით, მის თესლს საშუალება არ მისცეს ნიადაგში ჩაცვენილიყო და გამრავლებულიყო.

ამ ბრიგადაში მტკიცედ ახორციელებენ ამხ. **ლ. ბერიას** მითითებას ჩაის ბუჩქისადმი ინდივიდუალური მიდგომის შესახებ. **მინერალური სასუქი შეაქვთ არა თანაბრად, არამედ ბუჩქის სიძლიერისა და სისუსტის მიხედვით.** ახმედ მახარაძემ აიღო ორი საცდელი ნაკვეთი — „დიდი" და „პატარა". დიდ ნაკვეთზე მინერალური სასუქი ყველა ბუჩქს თანაბრად მისცა; პატარა ნაკვეთზე კი სუსტ ბუჩქს მეტი მისცა, ძლიერს უფრო ნაკლები.

იმ ნაკვეთზე, სადაც ყველა ბუჩქს სასუქი თანაბრად მისცა — ახმედმა მიიღო 3.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო მეორე (პატარა) ნაკვეთიდან მიიღო 4.000 კილოგრამი.

ახმედ მახარაძის ეს გამოცდილება ფართოდ ვრცელდება ახლა ქობულეთის რაიონის ყველა კოლმეურნეობაში.

შარშან, როცა ახმედმა ჩაის ბუჩქები გაასხვლევინა, განუხრელად ხელმძღვანელებს აგროწესებით. თვითეულ ბუჩქს მიუდგნენ ინდივიდუალურად. გასხვლასთან ერთად ბუჩქი გასწმინდეს ხავსისაგან.

ახმედ მახარაძის ბრიგადის პლანტაციები დასერილია სადრენაჟო ქსელით ამით იგი, დაცულია ზედმეტი სინესტისა და ჩამორეცხვისაგან. ბრიგადამ კარგად იცის, რომ თუ ჩაის პლანტაცია ვერ იქნება უზრუნველყოფილი სადრენაჟო ქსელით ისე არავითარი აზრი არ აქვს ნიადაგში სასუქის შეტანას.

ახმედის ბრიგადაში ითვლება 10 მამაკაცი, 11 ქალი და 6 მოზარდი. მიმდინარე წელს აქ არ ყოფილა სამუშაო დღის გაცდენის არც ერთი შემთხვევა.

ახმედ მახარაძე და მისი ბრიგადის წევრები შეძლებულები ხდებიან. დამზადებული ჩაის ფოთლის ანგარიშში, გამომუშავებული შრომადღეების მიხედვით, ახმედმა მიიღო 3.500 მანეთამდე. კოლმეურნე მემედ გორგაძის ოჯახმა (ორი მუშახელია) უკვე მიიღო 4.000 მანეთამდე, ხოლო თევრაზ ჯინჭარაძის ოჯახმა — 3.000 მანეთამდე.

o

ახმედ მახარაძე გაზეთების აქტიური მკითხველია. იგი კარგად იცნობს გაზეთებიდან **მარიამ დემჩენკოს, ალექსი სტახანოვს,** რომელთაც ბაძავს მუშაობაში.

ახმედი არ კმაყოფილდება ჩაის არსებული მოსავლიანობით. მან ამ დღეებში თავის ბრიგადაში დაამუშავა საკითხი ჩაის მოსავლის კიდევ უფრო გადიდებისათვის და კისრულობს სოცშეჯიბრების თაოსნობას.

ახმედ მახარაძემ თავისი ბრიგადის სახელით საქ. კ.პ. (ბ) ქობულეთის პარტრაიკომს, რაიაღმასკომს და კოლმეურნეობის გამგეობას ასე განუცხადა:

— როგორც სტახანოველი ვკისრულობ ვალდებულებას **1936 წ. ჰექტარიდან მივიღო საშუალოდ 3500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.** მიმდინარე წელთან შედარებით თვითეული ჰექტარიდან მოსავალს ავწევ 800 კილოგრამით და სოცშეჯიბრებაში ვიწვევ დასავლეთ საქართველოს ჩაის კოლმეურნეობათა ყველა ბრიგადას.

ახმედ მახარაძის ბრიგადის მიერ ნაკისრ ვალდებულებასთან დაკავშირებით ქობულეთის პარტრაიკომის და რაიაღმასკომის ინიციატივით, ახმედის ჩაის ნაკვეთების საფუძვლიანად შესამოწმებლად გაიგზავნა სპეციალისტთა ბრიგადა ბრიგადამ ჰექტარიდან 3.500 კილოგრამი ფოთლის მიღება შესაძლებლად სცნო, მაგრამ საჭირო გახდა მთელი რიგი დამატებითი აგროტექნიკური ღონისძიების გატარება.

ეს ღონისძიებანი თვით ახმედ მახარაძემ წამოაყენა: **იგი გაზაფხულზე პლანტაციებში შეიტანს 140 ტონა ორგანიულ სასუქს და გაადიდებს მინერალური სასუქის დოზას. ხნიერ პლანტაციებს 1 ჰექტარის რაოდენობით მძიმედ გასხლავს. მოსალოდნელ ყინვებთან, დაკავშირებით ხრულმოსავლიან პლანტაციების გასხვლას ნოემბერ-დეკემბრის ნაცვლად ჩაატარებს თებერვალში.**

o

ახმედის ბრიგადამ უკვე დაამთავრა ჩაისათვის ნიადაგის მომზადება. ჩაის თესლის შეგროვება და დამკვრელურად გაჩაღდა ჩაის პლანტაციების საზამთრო გადაბარვა და სასუქის შეტანა. მან უკვე გაანაწილა ძალები, თვითეულ სამუშაოს მიუჩინა თავის დარგში დახელოვნებული კოლმეურნე. მაგალითად, საზამთრო გადაბარვაზე მუშაობს მევლედ მახარაძე, რამიზ მახარაძე მემედ გორგაძე. სასუქის მოზიდვა დავალებული აქვს მერიამ გორგაძეს, ასია მახარაძეს და ზექია გორგაძეს.

ახმედ მახარაძის ბრიგადის მიერ ნაკისრი ვალდებულება და ინიციატივა საფუძველს უყრის სტახანოვურ მოძრაობას ჩაის მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლაში.

o

ორიოდე სიტყვა თვით ახმედ მახარაძის შესახებ. ახმედი ღარიბი ოჯახიდან არის გამოსული. 1930 წ. კომკავშირში შევიდა. რამოდენიმეჯერ არის დაჯილდოებული მუყაითი მუშაობისათვის. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მას ასე ახასიათებს:

— ახმედი მტკიცე ნებისყოფის ბიჭია. რაკი ერთხელ იტყვის მერე აღარ გადათქვამს. ჩვენ ყველას იმედი გვაქვს, რომ თავის სიტყვას უსათუოდ საქმედ აქცევს.

თ. ქუნჭულია.

□ □ □

ახალი ნარინჯები ციხისძირის გორაკებზე

ბათომი, 22 ნოემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. ბრიგადისაგან) მთელს აჭარისტანში ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ამხ. **ამირაღოვი**) სამაგალითოდ ასრულებს მანდარინის კრეფის გეგმას.

მეურნეობა წელს სახელმწიფოს აბარებს 12 მილიონ ცალ მანდარინს. 21 ნოემბრისათვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 45 პროც. ეს იმ დროს, როცა აჭარისტანში მთლიანად მანდარინის კრეფის გეგმა შესრულებულია 28,2 პროც.

მიუხედავად იმისა, რომ წვიმები და ცივი ამინდები ძლიერ აბრკოლებს მანდარინის მომწიფებას და თვით კრეფასაც—მეურნეობის ხელმძღვანელობამ აიღო ვალდებულება —კრეფა დაამთავროს არაუგვიანეს **30 ნოემბრისა.**

ამ სამუშაოსთან ერთად მეურნეობაში გაცხოველებით მიმდინარეობს მზადება ციტრუსების ახალი ფართობის ათვისებისათვის. 1936 წლისათვის მეურნეობას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს ციტრუსოვანთა **ნარგავი გაადიდოს 7 ჰექტარით,** საჭირო ფართობი ნერგითა და კადრებით სავსებით უზრუნველყოფილია.

ციხისძირის დღემდე გამოუყენებელ გორაკებს სულ მალე დაამშვენებს მუდამ მწვანე ახალი პლანტაციები.

□ □ □

ჩაისათვის ნიადაგის მომზადება

მიწსახკომის 20 ნოემბრის ცნობებით

რაიონები	[illegible]	[illegible]
ბათომის	73	85,8
ქობულეთ	120	82,7
გალის	38	38,0
ოჩემჩირის	45	45,0
გუდაუთის	3	6,6
მახარაძის	83	55,3
ჩოხატაურის	9	16,3
ლანჩხუთის	53	66,2
ხონის	300	315,7
ცხაკაიას	24	40,0
მარტვილის	101	84,1
ზუგდიდის	60	52,1
წალენჯიხის	78	97,5
ჩხოროწყუს	115	63,8
ხობის	48	96,0
ქუთაისის	172	88,2
სულ	1322	77,2

საქართველოს ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების—კანონის ძალის მქონე აქტებად აღიარებისა და ამ ხელშეკრულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

„საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების — კანონის ძალის მქონე აქტებად აღიარებისა და ამ ხელშეკრულებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" გამოცემული, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. სექტემბრის 21-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას" 1935 წ. 226 №-ი)—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

1. ბამბისა, ჭარხლისა, სელისა და თამბაქოს კონტრაქტაციის ხელშეკრულებათ, რაც დამმზადებელი ორგანიზაციების მიერ დადებულია კოლექტიურ მეურნეობებთან, კოლმეურნეებთან და ერთპიროვნულ მეურნეობებთან სსრკ-ისა, ა.-კავკასიისა და საქართველოს სსრ მთავრობათა დადგენილებებისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ინსტრუქციების შესაბამისად, აქვთ კანონის ძალა, რომლის ზედმიწევნით და უცილობლად ასრულება სავალდებულოა, როგორც კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის, ისე დამმზადებელი ორგანიზაციებისათვის. არავითარი დარღვევა ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა როგორც კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ, ისე დამმზადებელი ორგანიზაციების მიერ არ შეიძლება.

ამისდა შესაბამისად, ამ ხელშეკრულებების ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს მატერიალურ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით, ამა დადგენილების 2—4 მუხლების თანახმად.

2. უკეთუ საკონტრაქტაციო ხელშეკრულება არ შეასრულა კოლექტიურმა მეურნეობამ ან კოლმეურნემ, მას, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულის განკარგულებით, ხოლო იქ, სადაც იგი არ არის, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის (დამზადებათათვის გამოყოფილი) განკარგულებით, — გადახდება ვადამდე უდავო წესით სასოფლო საბჭოს მეშვეობით, ნატურად მთელი წლის ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილი.

უკეთუ საკონტრაქტაციო ხელშეკრულება არ შეასრულა კოლექტიურმა მეურნეობამ, კოლექტიური მეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და წევრები, ამის გარდა, მიეცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც თანამდებობის პირნი, რომელთაც გამოიჩინეს მათთვის კანონით დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობისადმი უგულვებელობა და არაკეთილსინდისიერება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116, 117 და 118 მუხლების თანახმად.

3. უკეთუ საკონტრაქტაციო ხელშეკრულება არ შეასრულა ერთპიროვნულმა მეურნეობამ, მას, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულის განკარგულებით, ხოლო იქ, სადაც იგი არ არის — სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის (დამზადებათათვის გამოყოფილი) განკარგულებით, — გადახდება ვადამდე უდავო წესით, სასოფლო საბჭოს მეშვეობით, ნატურით მთელი წლის ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგაუტეხლობის ჯარიმა.

ამის გარდა, ერთპიროვნული მეურნეობის მიერ საკონტრაქტაციო ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეფარდებულ უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო ბეგარის და დავალების შეუსრულებლობისათვის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლი, სახელდობრ:

ა) უკეთუ ხელშეკრულება შეუსრულებელია პირველად და არ არის დამამძიმებელი გარემოებანი, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებული, ხოლო იქ, სადაც არ არის იგი — სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (დამზადებათათვის გამოყოფილი) დაადებს სასოფლო საბჭოს მეშვეობით მეურნეობას ფულად ჯარიმას ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების ხუთჯერადი რაოდენობით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად;

ბ) უკეთუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა განმეორდა, ან თუნდაც იგი შესრულებულ არ იქნეს პირველად, ხოლო უკეთუ არის დამამძიმებელი გარემოება, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებული, ხოლო იქ, სადაც იგი არ არის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მოადგილე (დამზადებათათვის გამოყოფილი), — სასოფლო საბჭოს მეშვეობით „ა" პუნქტში აღნიშნული ფულადი ჯარიმის დადების გარდა, — მისცემს მეურნეობის მეთაურს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მეორე ან მესამე ნაწილის თანახმად.

სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის (დამზადებათათვის გამოყოფილი) მიერ დადებული ფულადი ჯარიმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგაუტეხლობის ჯარიმის თანხასთან ერთად, არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების ხუთჯერად რაოდენობას.

4. უკეთუ დამმზადებელი ორგანიზაცია არ გადაიხდის კონტრაქტანტის (კოლექტიური მეურნეობა, კოლმეურნე ან ერთპიროვნული მეურნეობა) ხვედრ ფულს და არ მისცემს მას ხვედრ საქონელს ნატურად, ამაში დამნაშავე მომუშავენი დამმზადებელი ორგანიზაციისა მიეცემიან პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც მათთვის კანონით დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობისადმი უგულვებელობით და არაკეთილსინდისიერი მოპყრობისათვის, — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116, 117 და 118 მუხლების თანახმად.

II.

5. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლის მეორე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 124) არა ვრცელდება ბამბისა, ჭარხლისა, სელისა და თამბაქოს კონტრაქტაციის ხელშეკრულებებზე, რაც დადებულია ამა დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. ნოემბრის 4.
ტფილისი.
№93/1515.

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საპლანერო სკოლის უფროსის ამხ. ივინის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

უმაღლესი პილოტაჟის პროგრამის სამაგალითო შესრულებისათვის საავიაციო დღესასწაულზე 1935 წლის ნოემბრის 8-ს, რამაც პლანერით პილოტირების ტექნიკის უმწიკვლო დაუფლება გამოავლინა, თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საპლანერო სკოლის უფროსი ამხ. ივინი დაჯილდოებულ იქნეს ხუთასი (500) მანეთით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბუდუ მდივანი**
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. მეზუკე.**
1935 წ. ნოემბრის 16

სასამართლო

მკვლელი—გამფლანგველი

—ის არის, სწორედ ის! ხო!.. ქუჩის ბნელის კუთხეში ჩასაფრებულ თვალებმა გაუელვა, გულმა ძგერას უმატა...

— ის არის, ის! განიმეორა. ეჰ! რა მარდად მოაბიჯებს, არ გალირსებ შინ მისვლას, არა!

მზვერავს ბრაზი ერეოდა, მოუთმენლობით გული ელეოდა, თან შიშით, არავინ მომისწროსო, თან სიხარულით, უფრო ღელავდა... ჯიბიდან მომზადებული რევოლვერი ამოიღო და ხმა გაიკმინდა...

მსხვერპლმა მოათავა მ. თაყვრის ქუჩა და რკინიგზის ლიანდაგისაკენ მოხვევა რომ დააპირა, თვალწინ ძველი მეგობრის რევოლვერმა გაუელვა... ხმის გაცემაც ველარ მოასწრო, რომ... იგრიალა დამუხტულმა იარაღმა და მძიმედ დაჭრილი ადამიანი ძირს დაეცა.

— ჩაძაღლდი! მაგის ღირსი ხარ! ნიშნმოგებით ჩასძახა წაქცეულს, ადგილს ტყვიასავით მოსწყდა და ნაპერწკალივით გაქრა...

დაჭრილი გულშემზარავად გმინავდა—მიშველეთ, მიშველეთ... მარტის ზუზუნა ქარი მის კვნესას დიდუბის ქუჩებში მფენდა. ლამის ათი საათი იქნებოდა, მაგრამ უცბად მრავალი მშველელი გაჩნდა.

ასანთის შუქზე დაინახეს, რომ სისხლის მორევში ახალგაზრდა კაცი ცურავდა.

— სხვას არავის დააბრალოთ, ნიკომ მომკლა, შანშიაშვილმა. ეს სიტყვები შემოდგომის ფოთოლივით მოსწყდა მის გაყვითლებულ ბაგეებს და დაჭრილმა სული კიდეც დალია.

მკვლელობის შემდეგ ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ ფხიზელმა თვალმა ბოროტმოქმედის კვალს მიაგნო და პირდაპირ იმ სახლს, იმ ოჯახს მიადგა, სადაც დამნაშავემ თავი შეაფარა. იქ, იმ საღამოს პატარა ქეიფი ჰქონდა მასპინძელს და ვახშმად ხსენებული შანშიაშვილიც ბრძანდებოდა.

— ტყუილად გგონიათ ნიკოლოზ შანშიაშვილო, რომ დანაშაული შეგრჩათ. ნაკლებად! თქვენ დაპატიმრებული ხართ!

— რასა ბრძანებთ, რასა? მეეე, მეე! მე რა შუაში ვარ? ეკითხებოდა მილიციის თანამშრომელს, თან კი ენა ებმებოდა.

* * *

ბარე ერთ წელს თანამშრომლობდნენ ნიკოლოზ შანშიაშვილი და აკაკი ცინცაძე საქართველოს პარტგამომცემლობის № 1 მაღაზიაში. პირველი გამგეობდა, მეორე კი თანაშემწეობდა.

ერთხანს საქმე ჩვეულებრივად მიმდინარეობდა: მაღაზიაში ლიტერატურა იყიდებოდა, ნავაჭრი თანხა კი პარტგამომცემლობის მთავარ სალაროში შედიოდა.

ფულის დანახვაზე ხშირად მოსდიოდა გამგეს პირწყალი, სურვილების და მოთხოვნილებათა რაზმი ტვინს უჭამდა. ხელგაშლილი ცხოვრების საცდური ეშლებოდა.—ჯანდაბას! რას მიმიხვდებიანო, იმედიანად ჩაჰკიდა ხელი და სურვილი საქმედ აქცია..

გადიდკაცებულმა თავი მუხრან ბატონად წარმოიდგინა და ყველაფერი თავის ნებაზე, ჯარასავით დაატრიალა. იქ ლიტერატურას დაუწყო რიგება, ყოველგვარ საბუღალტრო ანგარიშიანობის გარეშე და მიღებული ფული კი ჯიბეში იტუცა, აქ სამმართველოდან მიღებულ მიზნობრივ თანხებს ფლანგავდა და განიავება უწყო.

ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ბოლოს ხელმრუდობამ სისტემატური ხასიათი მიიღო. უკანასკნელ ხანს მას ფული სამმართველოშიაც კი არ შეჰქონდა.

დაეჭვებულმა სამმართველომ მაღაზია შეამოწმა და შვიდი ათასი მანეთი დანაკლისი აღმოაჩინა.

შანშიაშვილი ამას არ იტეხდა და „რევიზორების" მოთაფვლას ცდილობდა. „გაუგებრობა" კი თავის მოადგილე ცინცაძეს გადააბრალა...

ცინცაძემ ამას რომ ყური მოჰკრა აინთო და უთხრა:—ვითომ გამგე რომ ხარ, სიმართლის თქმას ველარ გაგიბედავ თუ? როგორ, შენ ფული ფლანგე და ახლა მე მაბრალებ? მაცალე, შენ ოინებს სასამართლოს მოვახსენებო.

გამგეს ეს სიტყვები გულში ლახვარივით მოხვდა... თვალთ დაუბნელდა, მომავალი უსიამოვნება რომ წარმოიდგინა და დანაშაულის მისაჩქმალავად მოადგილის მოკვლა არჩია.

ამ დანაკლისის შემდეგ ორივენი მოხსნეს სამსახურიდან, შანშიაშვილის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს კი მსვლელობა მიეცა. შანშიაშვილმა სწორედ მიტომ მოკლა ცინცაძე, რომ ეშინოდა, უკანასკნელს მოწმობისას სასამართლოსთვის მეტი მასალა არ მიეცა.

პარტგამომცემლობის სამმართველო ამ მკვლელობის გაგონებაზე უფრო დაეჭვდა და მაღაზიის დეტალური გამოძიება მოახდინა. ამუშავდნენ ექსპერტები, ბუღალტრები, იწყო საანგარიშო რახუნი... მაგრამ რაღა დროს? იმ გაფლანგულ შვიდი ათას მანეთს ორმოცი ათასი მანეთიც დაემატა...

ამ საქმის გამო პასუხისგებაში მისცეს აგრეთვე ბუღალტერი აშოტ აკოფოვი, რომელიც თავის მოვალეობას ზერელედ და უპასუხისმგებლოდ უყურებდა. იგი ბევრჯერ არღვევდა საკრედიტო წესებს და შანშიაშვილს ბევრჯერ ხელზე აძლევდა მიზნობრივ, დიდ თანხებს.

ასევე იქცეოდა პარტგამომცემლობის სამმართველოს მთავარი ბუღალტერი იაკობ თოიძე. იგი შანშიაშვილის „სინდისსა" და „პატიოსნებას" ეყრდნობოდა და მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეიწუხა თავი მაღაზიის სალარო შეემოწმებინა.

23 ნოემბერს ამ საქმეს საქართველოს უზენაესი სასამართლო განიხილავს.

ეჭვი არაა, სოციალისტური ქონების 47 ათასი მანეთის გამნიავებელს და კაცისმკვლელ ნ. შანშიაშვილს ღირსეულ სასჯელს მიუსჯიან. არც „ჩინოვნიკ" აკოფოვსა და თოიძეს გადაუსვამენ თავზე ხელს ბიუროკრატობისა და უყურადღებობისათვის.

მერი ბურდული.

ფოტო ბუდეჟკისა



ახალი ტფილისი—სანაპირო ქუჩის საერთო ხედი

უნივერსიტეტების სოცშეჯიბრება

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-პედაგოგიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურმა შემადგენლობამ სასწავლო, სამეცნიერო და სხვ. სამუშაოს უკეთ დაყენების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს კიევის, ბაქოს და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტების კოლექტივები.

ამ უნივერსიტეტებთან ხელშეკრულების ხელმოსაწერად და კავშირის დასამყარებლად ტფილისის უნივერსიტეტი კიევში, ბაქოში და ერევანში დელეგაციებს გზავნის.

პარკი ქალაქის ცენტრში

ტფილისში, ცენტრალური ბაზრის გვერდით საყასბოებისა და სახარაზოების ყოფილი კვარტალის აღება დამთავრდა. ტფილისის საბჭოს ტექნიკური განყოფილების ცნობით, აღებული კვარტალის ადგილზე გადაწყვეტილია ახალი პარკის გაშენება. ამასთან დაკავშირებით გაფართოვდება რუსთა ქუჩა და ტრამვაის ხაზები გადაკეთდება იმ ვარაუდით, რომ ტრამვაის მოძრაობამ ამ უბანში არ დააბრკოლოს სხვა ტრანსპორტით დატვირთულ ქუჩებში მოძრაობა.

ახალ პარკში მოეწყობა აუზი და დაიდგმება სკამები.

ახალი პარკის გაშენებას შეუდგებიან გაზაფხულიდან.

ავტომობილების მიღება

ტფილისის საბჭომ მიიღო და გაანაწილა 10 ახალი ავტომობილი. მათ შორის ორი ახალი ავტობუსი გადასცეს ტფილისის ავტოტრანსს. დანარჩენი საბარგო ავტომობილები განაწილებულია ტფილისის ტრესტებს შორის.

ახალი ავტომობილების შემდეგს პარტიას მოელიან იანვარში.

წითელი არმიის ნაწილების მხატვრული მომსახურებისათვის

ხელოვნების ოსტატთა კლუბში 20 ნოემბერს შესდგა ხელოვნების მუშაკთა კავშირის კულტსაშეფო ბრიგადების საანგარიშო საღამო. ეს ბრიგადები მომსახურებას უწევდნენ წითელარმიელებს ბანაკად, აგრეთვე 1913 წელს დაბადებულ ახალწვეულებს. საღამოს დაესწრნენ არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. აარცევი და წითელი არმიის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის წარმომადგენლები. ბრიგადის ხელმძღვანელებმა და მონაწილეებმა საღამოზე დამსწრეთ უამბეს, თუ რა კულტსაშეფო მუშაობა შეასრულეს.

კრებამ ერთხმად აღიარა დიდი მიღწევები საქართველოს ხელოვნების მუშაკთა მიერ წითელი არმიის მხატვრული მომსახურების დარგში. განსაკუთრებით თავი ისახელეს სოხუმის, ბათომის და ქუთაისის კულტსაშეფო კომისიებმა, რომლებმაც ყველაზე უკეთ შეძლეს წითელი არმიის ნაწილების მხატვრული მომსახურების ორგანიზაცია.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობამ დააჯილდოვა განსაკუთრებით წარჩინებული ამხანაგები: ხელოვნების მუშაკთა სოხუმის რაიკომის თავმჯდომარე ამხ. კასნევიჩი, საბ. ოპერის დირიჟორი ამხ. ე. მიქელაძე, აქტიორი ვენაძე (საბ. ოპერა), შ. ჯაფარიძე (მარჯანიშვილის სახ. თეატრი), მხატვარი პროფ. მ. თოიძე, კომპოზიტორი—რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. არაყიშვილი და სხვ. ისინი დააჯილდოვეს წარჩინებულის ნიშნებით, სანატორიუმის საგზურებით და სხვ.

ა.-კ. სამხედრო ოლქის სარდლობამ თავის მხრივ ბრძანებით მადლობა გამოუცხადა ხელოვნების მთელ რიგ მუშაკებს.

ფოტო ბუდეჟკისა

ტფილისის პურის საცხობი ქარხანა № 1, რომელმაც სამჯერ ზედიზედ მიიღო საკავშირო ჯილდო, ამჟამად ფართოდ იყენებს მუშაობის სტახანოვურ მეთოდს. ქარხანაში გაძლიერებულია სანიტარული კონტროლი მოწყობილია სანიტარული საგუშაგოები და სხვ. სურათზე: ყოფილი უპატრონო, ქარხნის საუკეთესო სტახანოველი ამხ. გელაძე, რომელიც ორასი პროცენტით ასრულებს გეგმას და მისი ხელფასი 141 მანეთიდან გაიზარდა 400 მანეთამდე

ბრძოლა ბავშთა უპატრონობასთან

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ჩვილი ბავშვების აღსაზრდელი სახლის ხელმძღვანელთა საანგარიშო მოხსენება. ეს სახლი მოწყობილია ორთაჭალაში. იქ მოთავსებულია 60-მდე ჩვილი ბავშვი. სახლის დირექტორის — ამხ. სიჭინავას განცხადებით, ამჟამად სახლი დატვირთულია მშობლებიანი ბავშვებით. ზოგს მოჰყავს თავისი ბავშვი და სტოვებს სახლის დერეფნებში.

გარდა ამისა აღნიშნულ სახლში ხშირად ჰგზავნიან მიგდებულ ჩვილ ბავშვებს, რომელთა მშობლების ვინაობა ცნობილია. საბჭოს პრეზიდიუმმა, წინადადება მისცა სახლის ადმინისტრაციას, გადასცეს პროკურატურას იმ მშობლების საქმე, რომლებმაც ბავშვები უპატრონოდ მიატოვეს სახლის ადმინისტრაციის ამარად. ამავე დროს გადაწყვეტილია პასუხისგებაში მიცემა იმ მშობლებისა, რომლებიც ბავშვებს სხვის კარზე მიაგდებენ.

პ. მელიქიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად

1937 წ. მარტს სრულდება ათი წელიწადი ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერ-ქიმიკოსის, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პ. მელიქიშვილის გარდაცვალებიდან. პ. მელიქიშვილის სახელი ფართოდ არის ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიაც.

პ. მელიქიშვილის გარდაცვალების ათი წლისთავის აღსანიშნავად განათლების კომისარიატთან შექმნილია სპეციალური კომისია პროფ. **დ. დოლიძის** თავმჯდომარეობით. თავის პირველ სხდომაზე კომისიამ შეიმუშავა ზოგიერთი ღონისძიება. პირველ რიგში გადაწყდა სპეციალური კრებულის მომზადება, რომელშიც, გარდა პ. მელიქიშვილის ვრცელი ბიოგრაფიისა, მოთავსებული იქნება მიმოხილვები პ. მელიქიშვილის ოთხი ათეული წლის მოღვაწეობისა ქიმიაში. ორგანული ქიმიის დარგში, პ. მელიქიშვილის მუშაობის შესახებ მასალების შეკრება და მიმოხილვის შედგენა დაევალა პროფ. **მ. შალამბერიძეს**, არაორგანული ქიმიის დარგში—პროფ. **რ. ნიკოლაძეს**, სასოფლო-სამეურნეო დარგში — პროფ. **მ. ბექაიას.**

გარდა ამისა, კრებულში მოთავსებული იქნება პ. მელიქიშვილის მოწაფეების, თანამშრომლებისა და ახლო მეგობრების მოგონებები, ზოგიერთი მისი რჩეული ნაწერი, დოკუმენტები (ფოტოგრაფიები, მიწერ-მოწერა და სხვ.), აგრეთვე მელიქიშვილის შრომების სრული სია.

კომისიამ საჭიროდ სცნო აღიძრას შუამდგომლობა ტფ. უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, რომ უნივერსიტეტთან მოეწყოს პ. მელიქიშვილის კუთხე სადაც თავმოყრილი იქნება ყველაფერი, რაც კი პ. მელიქიშვილის საზოგადოებრივ და მეცნიერულ მოღვაწეობას შეეხება.

ვინაიდან პ. მელიქიშვილის მოღვაწეობის მეტი ნაწილი რუსეთში (უმთავრესად ოდესაში) მიმდინარეობდა, განათლების სახალხო კომისრის დასტურით ახლო ხანში ოდესაში იგზავნება კომისიის ერთ-ერთი წევრი სათანადო მასალების შესაკრებად.

ქართველი მწერლები რუსულ ენაზე

გამოვიდა და იყიდება „ზაკგიზის" მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ე. კლდიაშვილის რჩეულ ნაწერთა კრებული (სამანიშვილის დედინაცვალი, ბაკულას ღორები, როსტომ მანველიძე), თარგმანი ალ. ნეიმანისა. მისივე ნათარგმნი ი. ჭავჭავაძის მოთხრობა—„კაცია-ადამიანი" გამოვა ნოემბრის დამლევს.

შემთხვევები

ქურდობა. ქ. ლ. შარაშიძის ბინიდან (ნიკოლაძის ჩიხი 7), მოიპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები. ბოროტმოქმედი ქალი ნოზარ მამუტ-ქიზი (უბინაო), შეიპყრეს.

ავარია. მიასნიკოვის ქუჩაზე მე-20 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი დაეჯახა წინ მიმავალ საბარგო ავტომანქანას № 11—91. ვაგონი და მანქანა დაზიანდა. ვატმანს ვ. ა. გალახვერიძეს პასუხისგებაში აძლევენ.

ხულიგნების შეპყრობა. მე-21 შრომის სკოლაში ჩხუბისა, და მოწაფეთა და მასწავლებელთა შეურაცყოფისათვის შეიპყრეს კ. რ. ეგიაზაროვი და ს. ქ. მაატიანი. ხულიგნებს პასუხისგებაში აძლევენ.

მძარცველი. 18 ოქტომბერს ფუნიკულიორის ქვედასადგურის მახლობლად მიმავალ მოქალაქეებს ტ-ს და შ-ს მიუახლოვდა უცნობი, რომელმაც იარაღის მუქარით უბრძანა მათ ხელები აეწიათ და მოსთხოვა ფული და ნივთები. ისინი მძარცველს არ დაემორჩილნენ და ყვირილი ასტეხეს. ხმაურობის გამო მძარცველი გაიქცა, მაგრამ მოსული მილიციელის და მოქალაქეთა დახმარებით ის შეიპყრეს. დაპატიმრებისას მძარცველმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. დაპატიმრებული ბოროტმოქმედი ქურდ-რეციდივისტი დ. ა. ვარსიმაშვილი. მძარცველს ჩამოართვეს რევოლვერი საბრძოლო ვაზნებით. საქმის გამოძიება დამთავრდა და სასამართლოს გადაეცემა.

ქრონიკა

— **მწერალთა სასახლეში** დღეს საღამოს 8 ს. შესდგება პოეტების სექციის შემოქმედებითი საღამო. ახალ ლექსებს წაიკითხავენ პოეტები: ა. მაშაშვილი, გ. ლეონიძე, სიმ. ჩიქოვანი, კ. კალაძე, ილო მოსაშვილი და გრ. აბაშიძე. საღამოს ესწრებიან მხოლოდ მწერალთა კავშირის წევრები და კანდიდატები.

— **საქ. საბჭოთა მწერლების კავშირი** დღეს საღამოს 8 ს. აწყობს მწერლების შეხვედრას წითელ ლეიტენანტებთან.

ხელოვნება

ქართველი მომღერლები რუსეთში

ამჟამად რუსეთის სხვადასხვა ქალაქის თეატრებში მუშაობს თორმეტამდე ქართველი მომღერალი.

მოსკოვის დიდ საოპერო თეატრში მღერიან **დ. მჭედლიძე** (ამჟამად გამოდის ტფილისის ოპერაში) და **ს. გოცირიძე** (ორივე ბანი), დიდი თეატრის სტუდიაში მეცადინეობენ ბანი **გოგლიძე** (ამავე დროს მიწვეულია საკავშირო რადიო-კომიტეტის სოლისტად) და ბარიტონი **კრავეიშვილი**, ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში მუშაობს ბარიტონი **ვლ. კანდელაკი.**

მომღერალი ნ. ცომაია

ლენინგრადში მღერიან **ნ. ცომაია** (დიდი საოპერო თეატრი) და ტენორი **შ. ხანაძე** (მცირე თეატრი), კონსერვატორიაში სწავლობს **ლორთქიფანიძის ქალი**, რომელმაც მუსიკალურ შემსრულებელთა მეორე სრულიად საკავშირო კონკურსზე მეორე ჯილდო მიიღო.

სვერდლოვსკში მუშაობენ **დ. ბადრიძე, შ. მამაცაშვილი** (ბანი) და **კორინთელი** (ტენორი). ეს უკანასკნელი ოპერეტის თეატრში მღერის.

ლენინგრადიდან მიღებული ცნობებით, **ნ. ცომაიას** (მეცო-სოპრანო) დიდი წარმატება აქვს. 24 ოქტომბერს მოხდა მისი პირველი გამოსვლა კარმენის როლში. მასთან ერთად მღეროდნენ დამს. არტისტები ნ. პეჩკოვსკი და ს. მიგაი, დებიუტმა კარგად ჩაიარა და ნ. ცომაია ჩარიცხულ იქნა კარმენის როლის ძირითად შემსრულებელთა რიცხვში. „კარმენის" გარდა ის გამოდის „აიდაში", მალე გამოვა „ტრუბადურში", „მაზეპაში", „ლოენგრინსა" და „ვერტერში".

პარტკალენდარი

— **საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი იუწყება,** რომ დღეს, 23 ნოემბერს საღამოს სრულ 7 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია ძირითადი აგიტატორების, პარტკომების მდივნების და პარტორგების რაიონული თათბირი თემაზე: **„სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირის შედეგები".**

— საქ. კ.პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ 25 ნოემბერს საღამოს 7 ს. რაიკომის შენობაში შესდგება პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა.

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილება წინადადებას აძლევს პარტიის ქვემორჩამოთვლილ წევრებს ტფილისისა და ზემოსვანეთის რაიონებიდან გამოცხადდნენ საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ში ამხ. დოლიძესთან (მე-3 სართული, ოთახი № 62) 23 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე.

ტფილისის რაიონიდან: დ. ალივიძე, ს. მანჯულაშვილი, ფ. დემეტრაშვილი, მ. მუსერიძე, მ. მაისურაძე, გ. ქორიოღლიშვილი, დ. შენგელია, ი. ასლამაზოვი, მ. ვაშაკიშვილი, გ. კაკაბაძე, ტ. ძველაია, ტ. ჩიტუხაშვილი, გ. ჩაჩანიძე, გ. ოქრუაშვილი, გ. ფირალაშვილი, გ. მამასაშვილი, ჟ. ერგემლიძე, ს. თედიაშვილი და ლომიძე.

ზემოსვანეთიდან: ვ. ჩიტიშვილი, ნ. ძუცავა, ა. გულედიანი, ვ. გულედიანი და ი. სამუშია.

გაზ. კომუნისტი მიიღება 1936 წლისათვის
ხელისმოწერა ყველა საფოსტო განყ-ბაში და „სოიუზპეჩატის" ორგანიზატორებთან. ფასი 1 თვ.—2-50 კ., 1 წლ.—30 მ.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

დღეს მე-14 აბონ. 3 წარმოდ. ფაუსტი და ვალპურგის ღამე მონაწ. ვ. მალკოვა, ვ. გალანოვა, ბ. ვენაძე, გ. ივანოვსკი, დ. მჭედლიძე.
24 ნოემბერს 1 აბონ. 4 წარმოდგენა ტრუბადური მონაწ. ბ. ვალიაძე, ფატმა მუხტაროვა, დ. ანდღულაძე, ბ. ამირანაშვილი.
25 ნოემბერს 5 აბონ. 4 წარმოდგენა სიმფონ. კონცერტი პაულ ბელას ხელმძღვანელობით. მონაწ. ი. ნ. გოლუბოვსკაია (როიალი), ელზა მიუხელი.
სავალდებულოა მეოთხე შენატანი ყველა აბონემენტისათვის
წარმოდგენების დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლის სეზონი

დღეს სტალინის სახ. სას.-სამ. ინსტ. 9 აბონ. 2 წარმოდ. ფ. შილერის in tirannos
24 ნოემბერს საუნივერსიტეტის მე-13 აბ. მე-2 წარმ. ფ. შილერის in tirannos
26 ნოემბერს 3 აბონემ. 2 წარმ. შკვარკინის ნაბიჭვარი
ამ დღეებში პრემიერა — ა. კორნეიჩუკი — პლატონ კრეჩეტი
მესამე გადასახადი სავალდებულოა
სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე

მარჯანიშვილის თეატრი

23 ნოემბერს წარმოდ. № 25 ვერაგობა და სიყვარული
24 ნოემბერს წარმოდ. № 26 ვერაგობა და სიყვარული
დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30 — ახალი ხმოვანი ფილმი „ბემის გზა" პროგრამის გარეშე—ჟურნალი № 26.
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30 ფოიეში სიმებ. ორკესტრი — ახალი ხმოვანი ფილმი „შვიდი ბარიერი" პროგრ. გარეშე—„ავიაციის დღე, მე-18 ოქტომბერი"
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30 სეანსები დღის 12 ს-დან — ხმოვანი საზღვარგარეთული ფილმი „პეტრ" (პეტერ) პროგრამის გარეშე—„ცაბზეგის იერიში"
„26"-ის კომმუნ. სახ. 6-30, 8-30, 10-30 — ხმოვანი ფილმი შიგ პარიზში

ექიმი ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
მიღება დილ. 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
[illegible] № 72 ტ. 91

დეიდა თამარ, ბიძა სამსონ, დეიდაშვილები დარეჯან, ჩიტო, მარგალიტა, სალომე, ეთერი, ვაშაყმაძეები, სიძე ზაქრო დუმბაძე იუწყებიან დაუვიწყარ და საყვარელი
შალვა ლავრენტის-ძე ხუინგიას
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდა აბასთუმანში. 11432

მეუღლე გიორგი, შვილები გუგულა, ნორა, გივი, დედა ეფროსინე, ძმა კუკუ ჩხეტია, დები: მაკა ჩაბრავა, ლიზა ჯეჯელავა, ქსენია კაშია იუწყებიან
ოლა სიგუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 ნოემბერს. 11431

ძმისწულები საშა, ქეთო, რძალი მინა დორა ვაშაკიძეები დავსტირით ტკბილ, დაუვიწყარ ბიძიას და მაზლს
ბათლომე ვაშაკიძეს
დაკრძალვა 23 ნოემბერს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე 5 ს. კრასნოგორის ქ. № 16. 11433

დამწუხრებული მეუღლე მარიამი შვილებით, სიდედრი, ძმა ალექსანდრე ცოლშვილით, რძალი ეკატერინე იუწყებიან
ვლადიმერ ეპიტაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 23 ნოემბერს 6 ს. გამოსვენება 24 ნოემბერს 4 ს. ბრძოლის ქ. № 234. 11423

მეუღლე პარმენ გელაშვილი, შვილებით ნინა, ლეო, ელისო, ოსიკო, რძალი ლიზა, სიძე ტერენტი ტყემალაძე იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 2 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ბაბო გელაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11424

მეუღლე მაშო, შვილი ალექსანდრე ცოლშვილით, დები მინა, სონია, ძმა ბართლომე ოსიძეები, შვილიშვილები იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი.
სოლომონ პორფირეს-ძე ოსიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11414

მეუღლე კოტე, შვილები ალიკო და ნათელა იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 1 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ლიპა სპირიდონის ასული ხაჭალია—პერონიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11411

კიროვის სახელობის ტ.-ქ. სამეცნიერო საგამომკვლევო შრომის დაცვის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის ინჟ. ვალიკო ბრეგაძის ძმის
იაშა ბრეგაძის
გარდაცვალებას. 11413

დედა ახეტა, დები ლუბა, მარგარიტა, ოლღა, ძმები: ზეეანი, მიშა, რძალი მერი იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 1 ს. ჩოხატაურში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
შურა გიორგის ასულ შარაშიძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11425

დები მარგო, ტატიანა, სიძე ბარნაბ ბაქაპურიძე შვილებით გიზოთი და ლიანათი იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს, 2 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ასისტენტ
მიხეილ იაკინთეს-ძე წერეთლის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11421

დედა თეო, და ცაგუ მაჭარაშვილები, სიძე ალექსანდრე თუთბერიძე იუწყებენ საზოგადოებას, რომ 24 ნოემბერს ქუთაისში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
აგრ. ალიოშა ვლადიმერის-ძე მაჭარაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11419

პაიჭაძე, ფანჩულიძე, მახათაძე, ფანჩულიძე, ხატისკაცი, კაპანაძე, ჩხაიძე, გურგენიძე, ჯაჭგიანი, სიმონგულოვი, მოდებაძე, გამოვნაძე, კავლაძე, მგალობლიშვილი, ფიფინოვი, ჯიმშიაშვილი, ზარნაძე იზიარებენ ბაგრატ სახელაშვილის მწუხარებას მის მამის
ბესარიონის
გარდაცვალების გამო. 436

მარიამ ცაგარეიშვილი შვილებით თინათი და ვახტანგით იუწყება, რომ 24 ნოემბერს 2 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელი
მარუსია ცაგარეიშვილი-ცინცაძის
და მისი მაზლის
კუკა ცინცაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11410

მეუღლე კოლია პატარა ჯემალით, აღმზრდელები ბალდო და ვარსენიკა სარქისოვები შვილებით, მაზლი ალექსანდრე მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ
ანიკო დოლიძე—სალიაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 საათზე, რუსთაველის პროსპ. 26

დამწუხრებული მშობლები მარო და გრიშა, ძმა ენრიკო ნიკოლეიშვილები იუწყებიან საზოგადოებას, რომ 26 ნოემბერს ვაკეში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უსაყვარლესი შვილის და ძმის
ზურაბის (გურიკოს)
ხსოვნის აღსანიშნავად. 11417

ძვირფას მეგობარს, საყვარელ ადამიანს
ვერა ჩხაიძეს
დავსტირით ლიტფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები: ადამია, გელოვანი, ხარანაული, ურუშაძე, აბაშიძე, ჭოლაია, ტატიშვილი, ჭანტურია, გავაშელაშვილი, ბურჭულაძე, კვარაცხელია. 111422

მეუღლე გიორგი, შვილები ვიქტორ, ვახტანგ, ძმა ვანო კაპანაძე, და ანიჭკა იუწყებიან
მარუსა მიხეილის ასულ თავშავაძის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 5 ს. მაგისტრალის ქ. № 33, გამოსვენება 24 ნოემბერს 4 ს. 11430

გიგა, ვარო, ანდრო, მიხეილ, პეტრე, ალექსანდრე, თამარ გომელაურები, ნინო, ვასილ ბათიაშვილები, სანდრო ციხისთავი იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 2 ს. ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
კოლა გომელაურის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11429

უახლოესი მეგობრები: თეო და მექი სიმონგულოვები, პროკოფი ელიეტი, ვარლამ რობაქიძე და გიორგი ჩაჩავა მწუხარებით იუწყებიან გიორგი ზარულავას ძმის
ალექსანდრე ანტონისძე ზარულავას
უდროოდ გარდაცვალებას. 11428

ტფილისის მუსიკალური მუზეუმის დირექცია, თანამშრომლები, მსმენელები იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს 3 ს. ქუთაისში სათეიხის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ვახტანგ ჭარდანაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 11426

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68
მთავლიტის რწმუნებული 8214.